# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 15 ოქტომბერი 2002 №195 (1717) | ფასი 50 თეთრი

# საქართველოს დევები სჭირდება

## ნაცარქექია ძალიან ბევრია



საქართველოს დევებმა საქართველოს გამარჯვება აჩუქეს!

საქართველოს დევების ქვეყანა არცთუ დიდია, სულ ერთი მუჭაა, სულ ერთი წვეთი ცრემლია, ერთი მფეთქავი გულია და ერთი განწირული, ჩახრინწული ამოთქმაა. ღრიალია და სიყვარულია, დარდია და იმედია, ის არის, რომ ოდესმე, სადღაც, ერთ რომელიმე ადგილას, სადაც ეს ყველაფერი ერთად მოიყრის თავს, დევები გაიმარჯვებენ.

საქართველოს სჭირდება დევები. ისინი ალალები, პირდაპირები, თავდაუზოგავები, ნამდვილები არიან. ისინი რაც არიან, ეგ არიან. თავად ამბობენ, რაცა ვართ, ეგა ვართო. ეს დევები ელვაც არიან და კვნესაც არიან, ისინი საქართველოს მხრები არიან და მაშინ იმარჯვებენ, როცა გამარჯვება ყველაზე ნაღდ რამეს — სიცოცხლეს ნიშნავს.

ნაცარქექიებს არასოდეს უჩუქნიათ რაიმე საქართველოსთვის.

საქართველოს ნაცარქექიების ქვეყანა ძალიან დიდია, თვალით ვერ გასწვდები, ის ხარხარია, ტრაბახია, ცარიელა მანჭვა-გრეხაა. გაუთავებელი ჭორაობაა, ცხვირის ბზუებაა. ის ყველგანაა, ყოველ წერტილსა და ყოველ მოძრაობაში. ნაცარქექიები არასოდეს ამბობენ, რაცა ვართ, ესა ვართო. დიდიხანია დაგვაჯერეს, რომ იმაზე ასჯერ მეტი არიან, ვიდრე მართლა არიან. ნაცარქექიები არიან და თვალის აბმა ეხერხებათ.

დევები კი ნაბიჯ-ნაბიჯ, მძიმე-მძიმედ, ოფლითა და განცდით, კუნაპეტ სიბნელეში ხნავენ თავიანთ წილ, ერთ ქცევა მიწას და იმ მიწაზე სიცოცხლეა. ეგებ მალე მეტი იყოს მათი მიწა და მაშინ საქართველო მართლა დიდი და მართლა კარგი, მართლა ნამდვილი იქნება.

საქართველოს უბრალო ბიჭებს, საქართველოს დალეწილ დევებს გაუმარჯოს!

ეს ქვეყანა იმათია და ისინიც ამ ქვეყნისანი არიან. ერთმანეთს ველარაფერი დაგვაშორებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2003 წლის მსოფლიოს თასი. შესარჩევი ტურნირი

13 ოქტომბერი. თბილისი. «ეროვნული». 15 საათი

# საქართველო 17:13 რუსეთი

**საქართველო:** ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, ალანია, კაცაძე, ჯიმშელაძე, აბუსერიძე, შველიძე, გიორგაძე, ცაბაძე (რატიანიძე 63), ნადირაძე, დიდებულიძე, მჭედლიშვილი (ჩხაიძე 63), ლაბაძე, ზედგინიძე
1 ლ: ცაბაძე (40); 4 ს: ურჯუკაშვილი (5, 28, 35, 61);
**რუსეთი:** დიმჩენკო, სიმონოვი, კორობეინიკოვი, კუზინი, ა. სერგეევი, რაჩკოვი (ზაკარლიუკი 41), მოტორინი; შუკაილოვი (ხროკინი 63), რომაკი (ნიკოლაიჩუკი 74), შენდრიქსი (ტრავკინი 74), ფედჩენკო, ს. სერგეევი, ფოლბენკო, გრაჩოვი, ზიკოვი (იზარენკო 77)
1 ლ: რაჩკოვი (29); 1 გ: სიმონოვი (29); 1 ს: სიმონოვი (1); 1 ა: რაჩკოვი (23);
**მსაჯი:** ალენ როლანი (ირლანდია)
**მთავარი მწვრთნელი:** გორდონ დიქსონი (შოტლანდია)

„საქართველოს შეუძლია გამარჯვება" — თქვა რუსების დამარცხების შემდეგ ქართველთა ფრანგმა მოძღვარმა კლოდ სორელმა. ქართველები რომ მაგრები ვართ და გამარჯვება შეგვძლებია, ეს უცხოელს არ აღმოუჩენია, ბავშვობიდან ჩაგვესმის და დღენიადაგ ამას გვიკიჟინებენ ის პოლიტიკოსებიც კი, რომელთა მოღვაწეობის არსი ძვირ კოსტუმზე მიკროფონის მიბნევა და ბრტყელ-ბრტყელი ფრაზების საქვეყნოდ და დაუსრულებლად ქადაქებაა.

ბედად, ლაპარაკის და უმოქმედობის უდაბნოში მოიძებნება ოაზისი — სფერო, რაშიც სიტყვების ფრიალთან ერთად საქმეც კეთდება, დიდი საქმე. მორაგბეები — ისინი შრომობდნენ, სწავლობდნენ, ომობდნენ, ისევ სწავლობდნენ, ისინი წინ მიიბრძოდნენ, საკუთარ, ნამდვილ სისხლს მიწაზე აქცევდნენ. გამარჯვება უცებ და, მით უმეტეს, მხოლოდ ლაპარაკით არ მოსულა. ბიჭებს, უფრო ზუსტად კი კაცებს, გამარჯვებისკენ სწრაფვასთან ერთად მოთმინებაც ჰქონდათ და მათ ბოლომდე ეყოთ იგი. იყო მარცხიანი მატჩებიც, მაგრამ ამან ვერ მოკლა მორაგბეთა მებრძოლი სული. კაცებმა ბოლო და გადამწყვეტი ბრძოლა მოიგეს და მათმა სიხარულმა, ხალხის სიხარულმა დაგვანახვა — საქართველო წყალს არ წაუღია. დიდი მადლობა მათ ამისთვის.



# ხალხის გუნდი

## რუსებს ჯანი გავარდეთ, ქართველები წყალს არ წაუღია

მორაგბეებმა დაიმსახურეს ხალხის სიყვარული და პატივისცემა, მორაგბეებმა დაიმსახურეს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში. იშვიათი წარმატებაა ქართველობისთვის — მორაგბეები მსოფლიოს 20 საუკეთესოს შორის მოხვდნენ. იქნებ ვცადოთ და მოვქექოთ, რაში მიგვიღწევია ასეთი წარმატებისთვის. თუ კარგად და ყველგან მოვძებნით, რაღაცას მოვნახავთ, მაგრამ საეჭვოა, ნაპოვნის რაოდენობამ კმაყოფილებით აღგვავსოს. სამწუხაროდ, ჩვენს ირგვლივ ჯერაც მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც შურის, პესიმიზმის, გულგრილობის თუ ვინ იცის, რის გამო ჯეროვნად ვერ აფასებენ ამ გამარჯვების მნიშვნელობას. ასეთებსაც მოისმენთ — ეგ თქვენი რაგბი უხეშობის და ძალმომრეობის მეტი არაფერიაო. ამათ გასაგონად ვიტყვით, რომ რაგბიში ღონიერებაზე მეტს იქნებ გონიერება წყვეტდეს და მარტო ჯანის ხარჯზე ვერ მოერევი რუსულ „დათვს", რომელიც თავისი ძალის შემგრძნები პატარა საქართველოზე კი არა, ლამის მთელ მსოფლიოზე იწევს.

რუსების დამარცხება — აი, ჩვენი სიხარულის მეორე მიზეზი. მათგან ბევრი წყენა გვახსოვს ძველიც და ახალიც. ბევრი მხრიდან გვიტევენ და ახლა ისე მოხდა, სპორტშიც მათ პირისპირ აღმოვჩნდით. და მაშინ, როდესაც ქართველობა ძირითადად იხევს ჩრდილოელ მეზობელ-მონსტრის წინაშე, მორაგბეებმა რუსეთთან მრავლისმომცველი ფრონტის პატარა მონაკვეთზე დიდი გამარჯვება მოიპოვეს და უდიდესი სიხარული მოგვიტანეს. 13 ოქტომბერს ჩვენ ბედნიერები და ამაყები ვიყავით, რომ ქართველები ვართ და რომ ჩვენც შეგვიძლია ვილაცაზე, მით უმეტეს, რუსებზე წინ დავდგეთ.

ისე, რუს მორაგბეებს არაფერს ვერჩით, ისინი რიგიანი ბიჭები არიან, ვაჟკაცები და პატივისცემას იმსახურებენ. თავად მათგანაც მატჩამდეც და შემდეგაც შეიგრძნობოდა ჩვენი ბიჭების მიმართ პატივისცემა და ერთგვარი მოკრძალებაც კი. ბოლო წლებში ერთმანეთისთვის მუდმივ მეტოქედ ქცეულებს ურთიერთისთვის მუშტიც მოუქნევიათ და ჭიქაც მიუჭახუნებიათ. ასეთია რაგბი, მოედანზე მეტოქის სიძულვილით იწვი, მაგრამ ეს სიძულვილი ძირითადად 80-წუთიანია და ახლაც დროის ამ მონაკვეთში ჩაეტია. ნამატჩევ ბანკეტზე, სადაც ღვინო მდინარედ მოედინებოდა, რუსებმა კიდევ ერთხელ ალალად მოგვილოცეს მსოფლიოს მარაქაში გარევა. მათი გამარჯვების შემთხვევაში იგივეს მოიმოქმედებდნენ ბორჯღალოსნები.

თავად მატჩიც საკმაოდ კორექტული გამოდგა. ირლანდიელი მსაჯი, რომელმაც ასევე კორექტულად იმსაჯა, მართალია, ხშირად აჯარიმებდა ორივე მხარეს, მაგრამ ძირითადად სათამაშო სიტუაციებში და არა ზღვარგადასული უხეშობის გამო. კი იყო სისხლიც, მაგრამ ეს არაა რაგბში უცხო ხილი. სადაც ორი 110-კილოგრამიანი დევკაცი ერთმანეთს შეასკდება, იქ სისხლი ვის გაუკვირდება?

სხვა საკითხავია, იყო თუ არა თამაში სანახაობრივი. 13 ოქტომბრის შეხვედრას ასეთი არ ეთქმის. ლაღი და გახსნილი ბურთაობა არც იყო მოსალოდნელი თამაშში, რომელშიც სასწორზე დევს მსოფლიოს ელიტარული „წვეულების" მონაწვევი, ფაქტობრივად, მსოფლიოსგან აღიარება და კიდევ ძალიან ბევრი რამ. უდიდესი დაძაბულობის და სიფრთხილის მიუხედავად შეხვედრაში მაინც გავიდა ლელოები. მეტოქეებმა თითოჯერ გაჭრეს ერთმანეთის დაცვის ხაზი. პირველად ეს რუსებმა შეძლეს. მათვე გახსნეს ანგარიში, მხოლოდ საჯარიმოთი.

მეტოქემ პირველივე წუთზე მხნედ შემოგვიტია და დამცველები აიძულა, კარის სიახლოვეს დაჯარიმებულიყვნენ. სტუმრებმა ისარგებლეს შანსით და 3:0 დაწინაურდნენ. დიდხანს არ მოგვიწია ლოდინმა. რამდენიმე წუთში ახლა რუსები დაჯარიმდნენ და ბორჯღალოსანთა გარემარბმა მალხაზ ურჯუკაშვილმა საჯარიმოთივე ანგარიში გაათანაბრა. იმ დღეს რუსთა კარს სწორედ ურჯუკაშვილი ერჩოდა და არა ბორჯღალოსანთა შტატიანი დამრტყმელი პალიკო ჯიმშელაძე. მახო შორიდანაც თამამად უტევდა მეტოქის კარს, მაგრამ ყოველთვის წარმატებით ვერა. მოედნის შუაგულიდან ორი წარუმატებელი ცდის შემდეგ მახომ მაინც გაიტანა, 21-ე წუთზე შედარებით ახლოდან უნაკლოდ შეასრულა ჯარიმა და ქართველები 6:3 დაწინაურდნენ. ამას არ შეუკრთია რუსები, მასპინძელთა დაწინაურებიდან ორიოდ წუთში ზედ ჩვენი კარის წინ მათი შერკინება დაინიშნა, სტუმრებმა სწრაფად გამოიტანეს ბურთი და მათმა დამრტყმელმა კონსტანტინ რაჩკოვმა ოსტატურად დაგვირტყა მუხთალი არუკი. ანგარიში გათანაბრდა — 6:6. რუსებს თავიანთი 10 ნომრის მეთაურობით არ უჭირდათ ქულების დაგროვება. რაჩკოვივე შეიქმნა რუსთა ლელოს ავტორი.

ზორბა შუამარბ ვასილ კაცაძის უკანა ხაზის კიდეზე დაყენება უფრო თამაში ექსპერიმენტი იყო, ვიდრე შეცდომა. კაცაძე შესანიშნავი მოიერიშეა, მას ნებისმიერი მეტოქე უფრთხის და ვასომ აკი ირლანდიასაც გაუტანა ლელო, მაგრამ მისი დაყენება მოედნის კიდეზე, სადაც მომცრო და ფეხმარდი ბიჭები ფლობენ სიტუაციას, საკმაო რისკია. ეს, ცხადია, ჩვენზე უკეთ კლოდ სორელმა იცის, მაგრამ მაინც გარისკა და სწრაფბადრი ხეხელაშვილს დიდი კაცაძე არ-



ვასილ კაცაძის მადევარ რუსებს დიდი ჯაფა დაადგათ



თედო ზიბზიბაძე 80 წუთი სტაბილურად ირჯებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეტოქეთა რისხვა ლევან ცაბაძე რუსთა ჯგროში უშიშრად მიიკაფავს გზას



მეტოქეებს ერთმანეთისთვის შერკინებაში შეღავათი არ მიუციათ

ჩია. ბედად რუსებმა მხოლოდ ერთხელ ისარგებლეს ამით.

ლელო კონსტანტინ რაჩკოვმა 29-ე წუთზე გამოაცხო. ის ცენტრში გასცდა დამცველს და ვრაჩოვს გააგრძელებინა. შემდეგ რაქიდან შემოგვიტია, კაცაძეს დაუსხლტა და მცველთა მეცადინეობის მიუხედავად, შეძლო ჩვენს ჩათვლის მოედანზე ბურთის დამიწება. რუსებმა გარდასახვაც გაიტანეს და 13:6 დაწინაურდნენ.

ბედად მოვახერხეთ და მეტოქეს ეს უპირატესობა პირველ ტაიმშივე დავათმობინეთ. ურჯუკაშვილმა ერთი ჯარიმაც გაიტანა და შემდეგ ჩვენი ლელოც მომწიფდა. ზედ ტაიმის ბოლოს რუსებმა ვერ გაუძლეს მარცხენა ფლანგზე ჩვენს მასირებულ შტურმს და ქართველებმა ლევან ცაბაძის მეთაურობით ჯგუფური და ძალიან ლამაზი ლელო გაიტანეს. გარდასახვა ვერ გავიტანეთ, მაგრამ მაინც დავწინაურდით 14:13 და ბიჭები შესვენებაზე გამარჯვების რწმენით წავიდნენ.

მეორე ტაიმში რუსთა შეტევებს აგრესია არ მოჰკლებია, თუმც დამხვდურები იოლად უმკლავდებოდნენ მათ. პირველი ტაიმის მიწურულს სტუმრებს რაჩკოვი დაუშავდათ და მის გარეშე ქულაც ვერ მოინაგრეს. მეორე ტაიმის შუაში მათ რამდენიმეფაზიანი შეტევა გამართეს, შემდეგ კი ბურთი ქართველთა პირითი ხაზის მარჯვენა ნაპირზე სახიფათოდ ჩაკიდეს. ბურთი თედო ზიბზიბაძემ დაიჭირა და განმუხტა დაძაბულობა.

მანამდე კი, ტაიმის დასაწყისში, ბორჯღალოსნებს მეორე ლელოს გატანის კარგი შანსი ჰქონდათ. აგრესიული შეტევებით ბურთი თითქმის მივიტანეთ მათ ლელომდე. პირითი ხაზიდან რამდენიმე მეტრში მსაჯმა ჩვენი შერკინება დანიშნა. ლელო თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ რუსებმა რამდენჯერმე ჩააქციეს შერკინება და მსაჯის სამართლიან რისხვასთან ერთად ქართველთა დამსახურებულ ლელოსაც გადაურჩნენ. კარგად იცავდნენ თავს და შეტევაში ბურთიც წაგვართვეს, მაგრამ ირაკლი აბუსერიძემ ივაჟკაცა და საჯარიმოს დარტყმის უფლება მოგვიტანა. ურჯუკაშვილმა ფეხისაუკანკალებლად დაარტყა და შეხვედრის ბოლო ქულებიც ქართველებს ჩაუწერა 17:13.

შეხვედრა რუსთა იერიშებში გაილია. სტუმრები მხნედ უტევდნენ, მაგრამ განსაკუთრებული წარმატების გარეშე. შეხვედრის მიწურულს მათი აუტიც მოვიგეთ და ცოტა ხანში ეროვნულზე ქართველი ერის სიხარულმა დაისადგურა.

„დღეს ჩემზე ბედნიერი კაცი არ არსებობს" — ამბობდა ნამატჩევი თავდავიწყების შემდეგ ცოტა დაწყნარებული ლევან ცაბაძე „ლეონსიო" დღეს აღარაა ბორჯღალოსანთა კაპიტანი, მაგრამ ძველი შემართებით მიუძღოდა თანაგუნდელთ მეტოქეზე საიერიშოდ. იგი ისევ ის კაცია, ეროვნულ ჰიმნზე თვალები რომ უცრემლდება, ხოლო თამაშში ყველაზე უშიშრად მიიბრძვის მეტოქეთა ჯგროში და არად აგდებს მოწინააღმდეგის მუშტებს და საკუთარ სისხლს.

უხაროდა ლევან ცაბაძეს, უხაროდათ მის თანამებრძოლთ, უხაროდა კლოდ სორელს, ამ გამარჯვების სულისჩამდგმელს და მის ფრანგულ გარემოცვას, უხაროდა რაგბის კავშირის პრეზიდენტ ბიძინა გეგიძეს, ნაკრების კურატორ გია ჭუმბურიძეს (ამ კეთილმა კაცმა იქვე, გასახდელში ულვაშიც კი მოიპარსა — ნათქმული ჰქონია), უხაროდა ყველას და, რაც მთავარია, უხაროდა ხალხს. ხალხმა იცის თავდადების დაფასება. 13 ოქტომბერს რუსთაველზე დროშებით გასული ხალხი თავდადებულ ქართველებს მადლობას უხდიდა.

მაშ ასე: 13 ოქტომბერს ქართველმა მორაგბეებმა დაამარცხეს რუსები და გავიდნენ 2003 წლის მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე. უკვე ცნობილია, თუ ვინ შეხვდება იქ ქართველებს. ბორჯღალოსნები საკმაოდ ძლიერ B ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მათი მეტოქეები იქნებიან მსოფლიოს რაგბის გრანდები — ინგლისი, სამხრეთ აფრიკა და სამოა და მათთან ერთად დაახლოებით ჩვენი წონის მეტოქე ურუგვაი, რომლის დამარცხებაც ქართველთა უპირველესი მიზანი უნდა იყოს.

რუსებს კი, ამ მარცხის მიუხედავად, ჯერაც არ დაუკარგავთ ავსტრალიისკენ წასვლის შანსი, თუმც კი გვარიანად გაიმრუდეს მწვანე კონტინენტისკენ სავალი. ისინი სანუგეშო ტურნირში ჯერ დაამარცხებენ ესპანეთს, შემდეგ ტუნისს და ურთულესი ბრძოლა გადახდებათ აშშ-სთან, რომელიც რეიტინგით რუსებზე ძლიერია და გასაკვირია, როგორ დაქვეითდა ამ ტურნირში მონაწილეობამდე.

აქვე, სხვათა შორის ვთქვათ, ეს სანუგეშო ტურნირი, იგივე რეპეშაჟი ორია და მეორეში ავსტრალიისკენ გზას მიიკვლევს საკმაოდ ღონიერი ტონგა, სწორედ ის ტონგა, რომელმაც ზუსტად ოთხი წლის წინ ასეთივე რეპეშაჟში ჩვენზე გავლით მოიპოვა მსოფლიოს თასის საგზური.

**ირაკლი ფირაშვილი**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**

**მსოფლიოს თასი 2003**
**შესარჩევი ტურნირი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | +81 | 4 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | -45 | 2 |
| რუსეთი | 2 | 0 | 0 | 2 | -36 | 0 |

ირლანდია და საქართველო მსოფლიოს თასზე გავიდნენ; რუსეთი ჩაერთვება რეპეშაჟში



მტრის ჯინაზე ბორჯღალს გაუმარჯვია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაზე დიდი სიურპრიზი რუსისთვის: გამარჯვებული ქართველი

## ბორჯღალოსნებმა დათვებს ლუკმა წაართვეს და ღვინო ასვეს





### მატჩის შემდეგ

რაც მატჩის შემდეგ ხდებოდა, იმის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. გახარებული გულშემატკივრები ერთმანეთს ეხვეოდნენ. კლოდ სორელი და მისი ფრანგი თანაშემწენი ხელგადახვეულები პატარა ბავშვებივით ხტუნავდნენ. საქართველოს ნაკრების კურატორი და მორაგბეთა ხიდი მწვრთნელებთან გია ჭუმბურიძე სიხარულისგან ტიროდა, ისევე როგორც ბორჯღალოსნები, რომლებიც ერთმანეთს ახტებოდნენ და ამ ისტორიულ გამარჯვებას აღმართული ხელებითა და სა-ქა-რთვე-ლოს ძახილით გამოხატავდნენ. მერე მორაგბეებმა მოედანს შემოურბინეს და გულშემატკივარს მადლობა გადაუხადეს. მოედანზე სავარძელს მიჯაჭვული ორი ინვალიდი შეიყვანეს, ერთ-ერთ მათგანს პალიკო ჯიმშელაძემ მაისურაც აჩუქა. ზურა მჭედლიშვილმა თავისი 6-ნომრიანი კვართი ვეტერან ბორჯღალოსანს და მეგობარს, ცალფეხდაკარგულ მამუკა გაგნიძეს უსახსოვრა. რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე ლოჟიდან ქვმოთ ჩავიდა და სორელით დაწყებული, სათადარიგო მორაგბით დამთავრებული, ყველას ჩაეხუტა, მერე ტრიბუნებისკენ შებრუნდა და...

...იქ გავშლით ფრთებს და გავფრინდებით" — დააგუგუნა გეგიძემ. ამასობაში მორაგბეები ამ გამარჯვების მთავარ სულისჩამდგმელ კლოდ სორელს ჰაერში აბურთავებდნენ, ლევან ცაბაძე კი გულშემატკივართა ალყაში მოექცა, მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზის — წმინდა გიორგის ხატის კოცნით გასახდელისკენ გაიკვლია გზა, შესასვლელთან შეჩერდა, ძალა მოიკრიბა და საქართველოს გაუმარჯოს-ჯოს-ჯოს ძახილით დაემშვიდობა თვალცრემლიან გულშემატკივარს.

დერეფანში გასახდელისკენ მიმავალ რამდენიმე ბორჯღალოსანს გავესაუბრე.

**ლევან ცაბაძე:** „ჩემზე ბედნიერი ახლა კაცი არ მეგულება. ერთი რამის გაკეთება მინდა, დავდგე და ვიყვირო — საქართველო! მთელი ათი წელი ამ დღეს ველოდი და როგორც იქნა, გამითენდა. ჯერ კიდევ ეიფორიაში ვარ, აზრზე ბოლომდე ვერ მოვედი. როგორ მინდოდა, მატჩი ჩამეთავრებინა, მაგრამ სორელმა გამომცვალა. ეს ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო. ჯერ ერთი, დაღლილი ვიყავი და მეორეც — ზედახორაში რუსმა სახეში ფეხი ჩამარტყა და მერე მკერდზეც გადამიარა. ძლივს ვსუნთქავდი. ცხვირიდან სისხლიც წამსკდა. სორელმაც დასვენებული და ჩემზე არანაკლები ძალის პატრონი რატიანიძე შეიყვანა, მანაც ბოლომდე იომა".

**ილია ზედგინიძე:** „ეს იყო ურთულესი მატჩი. რუსები ფიზიკურად ძალიან კარგად იყვნენ მომზადებული. არ გაჩერებულან, სულ მოძრაობდნენ, ჩვენც ავყევით და არაფერი დავუთმეთ. ახლა უბედნიერესი კაცი ვარ, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, რა ხდება ჩემს გულში. მსოფლიოს თასზე ვითამაშებთ! ამით ყველაფერია ნათქვამი".

**მალხაზ ურჯუკაშვილი:** „ეს თამაში რომ წაგვეგო, გულშემატკივარს თვალებში ვერ შევხედავდი. რა უნდა მომხდარიყო, რომ რუსების შეგვშინებოდა ან მუხლი აგვკანკალებოდა. თავიდან ცოტა კი ვნერვიულობდი, მაგრამ მერე დაძაბულობა მომეხსნა და თავისუფლად ავთამაშდი. ძალიან მიხარია, რომ ჩვენების გამარჯვებაში ჩემი წილიც ურევია. დღეს უზომოდ ბედნიერი ვარ, ქართველ ხალხს უდიდესი სიხარული ვაჩუქეთ".

გასახდელისკენ მიმავალმა ბორჯღალოსნებმა ბლომად ავტოგრაფიც არიგეს. გასახდელში ჩვენებს პირველებმა რუსთა კაპიტანმა სერგეი სერგეევმა და ვიაჩესლავ გრაჩოვმა მიულოცეს, მერე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ და ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ.

ალექსანდრე ჩივაძე: „ამ ბიჭებს შემოვევლე, ნამდვილი კაცები არიან. ნეტავ, ამათი წყალი გადმოგვესხას".

### პრესკონფერენცია

სანამ ჩვენი მორაგბეები შხაპს იღებდნენ და საბანკეტოდ ემზადებოდნენ, საპრესკონფერენციო დარბაზი რუსებს დაეთმოთ. მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმა, რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იური ნიკოლაევმა და ნაკრების კაპიტანმა სერგეი სერგეევმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს. ამას, ცხადია, ძალიან უხასიათოდ აკეთებდნენ.

**ალექსანდრ პერვუხინი:** „ვულოცავ ქართველებს გამარჯვებას. მათ ეს დაიმსახურეს. მეტოქეს დღეს ჩვენზე ძალიან უნდოდა მოგება — მოიგო კიდეც. საქართველოს ნაკრების თამაშში ბევრი სიახლე დავინახე, გამოგიტყდებით, ამას არ ველოდი. ჩემთვის ეს სიურპრიზი იყო.

ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნით, პროგრესი არ შეიმჩნევა. სახელმწიფო ყურადღებას არ გვაქცევს. ეს მარცხი რუსეთში რაგბის განვითარებას გვარიანად შეაფერხებს. ქართველებს ვუსურვებ, რომ ეროვნული ჩემპიონატიც მაღალი დონისა ჰქონდეთ და მარტო ლეგიონერების იმედად არ იყვნენ".

**იური ნიკოლაევი:** „ეს მატჩი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მსოფლიოს თასზე მოხვედრა ჯერ კიდევ შეგვიძლია, მაგრამ სახელმწიფო იმ დაფინანსებასაც გაგვიუქმებს, რომელიც აქამდე გვქონდა. დღეს ჩვენ არა მარტო მატჩი, არამედ რუსეთში რაგბის წინსვლის პერსპექტივაც წავაგეთ".

**სერგეი სერგეევი:** „ქართველებმა ღირსეულად მოიგეს. ეს იყო სუფთა და ჯენტლმენური თამაში. ვულოცავ მეტოქეს და მთელ საქართველოს ამ გამარჯვებას. მსაჯობა იყო შესანიშნავი. თუ წავაგეთ, მხოლოდ ჩვენივე შეცდომების გამო. ახალგაზრდებს ხელები უკანკალებდათ. ისინი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოექცნენ. ვისურვებდი, რომ მსოფლიოს თასზე ჩვენც მოვხვდეთ და იქ ქართველებთან ერთად წავიდეთ".

**იური ნიკოლაევი:** „მატჩის წინ ბიძინა გეგიძეს მადლობა ვუთხარი ღირსეული დახვედრისა და მასპინძლობისთვის. ქართულმა მხარემ ჩვენი ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა და ყველაფერს უმაღლეს დონეზე გაუკეთა ორგანიზაცია. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას და მსოფლიოს თასზე გასვლას გილოცავთ".

რუსების შემდეგ საპრესკონფერენციო დარბაზში ქართველები შემოვიდნენ.

### კლოდ სორელი

...ასეთ გამარჯვებას რომ მიაღწიო, საკუთარი თავის უნდა გწამდეს. ჩვენ დღეს სწორედ რწმენამ მოგვაგებინა. პირდაპირ გეუბნებით, რომ არა ბიძინა გეგიძე, საქართველოს ნაკრები ასეთ წარმატებას ვერ მიაღწევდა. მან ყველაფერი გაიღო და უკან არაფერზე დაუხევია. მადლობას ვუხდი გია ჭუმბურიძეს, ჩემს თანაშემწეებს — პატრიკ ფორის, ტიერი რუდილს და ჟან ლუი სოლომონს. ნაკრების წარმატებაში მათი წვლილი ძალიან დიდია.

...იცოდეთ, რომ გყავთ ოცდაათი ვაჟკაცი, რომლებიც ბოლომდე იბრძვიან და არ იციან, რა არის ტკივილი, თავის დაზოგვა. ჩვენ, ფრანგი მწვრთნელები არანაკლებ ვნერვიულობდით მატჩის წინ. კარგად ვიცით, რას ნი-



ბიძინა გეგიძე: ჩვენ ეს გავაკეთეთ!



ზურა მჭედლიშვილმა ყოფილ ბორჯღალოსან
მამუკა გაგნიძეს მაისურა უსახსოვრა

შნავს თქვენთვის რუსებთან თამაში. ეს მარტო სპორტი არაა. ახლა ჩვენც არანაკლებ ბედნიერები ვართ. მე ქართველი ხალხის სიხარული გამიხარდა. ეს გამარჯვება ქართველ ერს ვაჩუქეთ!

...მსოფლიოს თასის შემდეგ ნაკრებიდან წასვლაზე ვფიქრობდი, მაგრამ შეიძლება, კიდევ დავრჩე. ნაკრებს კიდევ აქვს პოტენციალი და არც მე ამომიწურავს აქ ჩემი თავი. ასე რომ, წასვლა ან დარჩენა ჯერ არ გადამიწყვეტია. ყველაფერს ავწონ-დავწონი და მერე ისე მოვიქცევი, როგორც ორივე მხარისთვის იქნება სასარგებლო.

**პატრიკ ფორი**

— დღეს ბიჭებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ეს არ არის მაქსიმუმი. რაც მე ნაკრებში მუშაობა დავიწყე, უფრო მეტი ვისწავლეთ, ვიდრე დღეს ვითამაშეთ. ბიჭებს მეტი შეუძლიათ. ახლა მთავარია, მსოფლიოს თასისთვის მოვემზადოთ და ხარისხი გავაუმჯობესოთ.

**ბიძინა გეგიძე**

— ჯერ კიდევ მატჩის წინ მადლობა გადავუხადე ჩვენს მწვრთნელებს. მიუხედავად იმისა, თუ როგორ დასრულდებოდა დღევანდელი შეხვედრა, ისინი ამის ღირსები იყვნენ. როგორია ოცდაათი ქართველი მორაგბის მართვა, ყველანი მათგანი სულით ლიდერია და ამბიციურია. ამ ხალხის ერთ გუნდად შეკვრა ძალიან ძნელია. მწვრთნელებმა კი ეს მოახერხეს.

## ლხინი

რესტორან „უშბასთან", სადაც მატჩისშემდგომი ლხინი გაიმართა, თავიდან ორმოცდაათამდე ფანმა მოიყარა თავი. მათი რიცხვი ნელ-ნელა გაიზარდა, გულშემატკივართა ნაკადი არ წყდებოდა. სახეშეღებილი და თავზე წაკრული ბორჯღალიანი ლენტით, შინდისფერი და ჯვრიანი დროშების ფრიალით, საქართველოს ძახილით ქომაგი მორაგბეებს ელოდა. ლოდინი დიდხანს არ დასჭირდათ. ჩვენები მალევე მოგროვდნენ და გულშემატკივართან ერთად საქართველოს სადღეგრძელოც დალიეს. ვინც იმ დღეს „უშბაში" მოვიდა, მორაგბეები ყველას გაუმასპინძლდნენ. იყო სადღეგრძელოები და მილოცვები. რუსები თავიდან კი ერიდებოდნენ ალკოჰოლს, მაგრამ მალე დარდის გაქარვება გადაწყვიტეს და ქართული ღვინით გვარიანადაც დათვრნენ. ერთ-ერთმა რამდენიმე ქართველ ვეტერანთან ერთად „მარუსიაც" კი შეუბერა. მერე უცნობმა და თემურ რცხილაძემ აცეკვეს სტუმარმასპინძელი. შუა ბანკეტში მორაგბეებთან მოვიდა ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე**. „გილოცავთ, ბიჭებო, თქვენ დღეს მთელი საქართველო გაახარეთ. ჩვენ ფეხბურთელები თქვენს გვერდში ვართ", — თქვა კახამ და თვალებზე ცრემლი მოადგა. კახა ბანკეტზე არ დარჩენილა. ძალიან მეჩქარებაო, მორაგბეებს დაემშვიდობა და მანქანისკენ მიმავალმა ეს გვითხრა: „დღეს ოთხმოცთი წუთით მაინც დამავიწყდა, რომ ძმა ოჯახში არ მყავს. ამ ბიჭებმა თავი ქართველად მაგრძნობინეს. ესენი კაცები, ნამდვილი ქართველები არიან."

ბანკეტის ოფიციალური ნაწილის შემდეგ ქართველი და რუსი მორაგბეები ერთმანეთს შეერივნენ და ერთად მოულხინეს.

იქაურობას კი გულშემატკივარი ემატებოდა და ემატებოდა. ამათში ერთი ინვალიდიც გამოერია, რომელიც მორაგბეებმა ხელში აიყვანეს და ასე დაჰყავდათ. მას თვალებზე ცრემლი ადგა და ბიჭებს თავზე ხელს უსვამდა.

**სერგეი სერგეევი** გაოცებული დარჩა, ლამისაა მეც ავტირდე, ასეთი სიყვარული და სითბო არსად მინახავსო. „ამ ჩვენი პოლიტიკოსების დედაც– მე ვაკონკრეტებ, ჩვენი რუსი პოლიტიკოსების ბრალია, დღეს რომ გვისტვენდა გულშემატკივარი, რა დროს ომია? ქართველებთან ყოველთვის ვმეგობრობდი და ვიმეგობრობ" — დაამატა სერგეევმა და იქვე ლევან ცაბაძისგან „ექსკლუზიური" მიპატიჟებაც მიიღო. „ლეონსიოშ", დღეს შენ და სლავა გრაჩოვი ჩემი სტუმრები ხართო და მანქანით რუსთავში გააქანა. მანამდე კი... **გრაჩოვი**: „თბილისში წამოსვლის წინ მამაჩემმა მითხრა, ქართველებთან საომრად როგორ მიდიხარ. ბაბუაშენი და ერთი ქართველი ერთ ტანკში იხზდნენ მთელი ომის განმავლობაში და ერთად ჩავიდნენ ბერლინამდეო. მე ვუპასუხე, რაგბი გლადიატორების ბრძოლაა და მარტო მოედანზე შევჭამთ ერთმანეთს-მეთქი. აი ხომ ხედავთ, ერთად ვსხედვართ და ვქეიფობთ. ყოველთვის ასე იქნება. დღეს იმიტომ წავაგეთ, რომ ახალგაზრდა მორაგბეებმა ვერ დაიჯერეს, თუ საქართველოში მოგება შეიძლებოდა. მათ ტრიბუნებზე ამდენი გულშემატკივარი რომ დაინახეს, ხელები აუკანკალდათ."

ცაბაძე და მისი რუსი სტუმრები რუსთავში წავიდნენ, დანარჩენები კი დარჩნენ და ერთმანეთს განსხვავებულის გამოცლაში შეეჯიბრნენ. ამაშიც ქართველებმა აჯობეს. რუსები უკვე ბარბაცებდნენ, ჩვენები კი მხნედ გამოიყურებოდნენ და აჭარულსაც და მთიულურსაც რაგბიზე არანაკლებად ასრულებდნენ. მერე იყო „ვაგონი მიქრის", მორაგბეთ ყიჟინა და თამადის, ბიძინა გეგიძის სადღეგრძელოები. ლხინი გარიჟრაჟამდე გაგრძელდა, ისევე, როგორც დროშამოფრიალე მანქანების თბილისის ქუჩებში საყვირებით გრიალი.

**ბაჩო სვანიძე**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**



მალხაზ ურჯუკაშვილი ტკივილს მოერია და მოედანზე დაბრუნდა



თედო ზიბზიბაძემ ვაჟიშვილს სიხარული დაუბედა




კლოდ სორელს გამარჯვება რუსთა მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმაც მიულოცა






# ეძებეთ მწვრთნელი! მორაგბეებმა იგი უკვე იპოვეს



# კლოდ სორელმა ქართველებს გამარჯვება ასწავლა

კლოდ სორელ!

აბა, შენა და ჩვენ რაღამ გაგვყაროს.

მოხდა ასე, გამოვიდა, რომ შენი და საქართველოს გზები შეერთდა. მოხდა ისე, რომ შენ მიხვდი, რა არის ეს ქვეყანა და ეს ქვეყანაც მიხვდა, ვინა ხარ შენ. ასეთი რამეები კი ტყუილად არ ხდება და არც იოლად ხდება.

დიახაც, გვეშლებოდა ხოლმე შენცა და ჩვენც ამ ხუთწლიან გზაზე, ერთად რომ გამოვიარეთ. მაგრამ რახან ვიცოდით ერთმანეთის ამბავი და რახან სწორად მივდიოდით, გაკეთდა, გამოვიდა, თავი არ დამალა.

დიდი გამარჯვების თავი სწორედ შენა ხარ, მუსიე კლოდ. შენ არა მხოლოდ ფრანგული ასწავლე ჩვენს ბიჭებს. შენ ისიც ასწავლე, რასაც ნამდვილი გამარჯვება ჰქვია. მძიმე, რთული, საომარი, ნამდვილი გამარჯვება, რომელსაც საქართველო ელოდა იმ დღიდან, როგორც კი თავისუფალ ქვეყანად იშვა.

ამ კვირა შუადღეს საქართველო მსოფლიოს შეუერთდა, გამონახა გზა, რომ შეერთებოდა. არც ასეთი რამ ხდება ტყუილად და შემთხვევით. არც იოლად.

აბა, რაღამ დაგვავიწყოს ერთმანეთი შენა და ჩვენ, ჩვენო მწვრთნელო.

# გლდანმა საქმე თელავში ევროპულად დააყენა

**ნებისმიერი** საქმის დაწყება რთული, საპასუხისმგებლო და, რა თქმა უნდა, სანერვიულო ამბავია. შეძლებისდაგვარად კი ემზადები და იმედიანადაც ხარ, მაგრამ სასურველ შედეგს მიიღებ თუ არა, წინასწარ ძნელი გამოსაცნობია.

სწორედ ამგვარ მდგომარეობაში იყო საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა წლევანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი „გლდანი" გასულ უქმეებზე ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში დებიუტის წინ. წილისყრამ გლდანელებს მეტოქედ არგუნა ლუქსემბურგის „ბაშარაჟი", რომელიც, მართალია, სანახევროდ პროფესიულ გუნდად ითვლება, მაგრამ საკმაოდ სერიოზული ძალის, სწორად გაწვრთნილი მოწინააღმდეგე გამოდგა.

მერამდენედ აღვნიშნავთ, „გლდან" — „ბაშარაჟის" დაპირისპირება თელავში იმიტომ შედგა, რომ შაბათ-კვირას თბილისში რუსულ-ქართული საფეხბურთო და სარაგბო ომი იყო დანიშნული. ხოლო საასპარეზოდ თელავის არჩევა იქაურმა მშვენიერმა დარბაზმა და კახელთა ტრადიციულმა, სამაგალითო სტუმართმოყვარეობამ განაპირობა. სპორტთამაშების სპორტსკოლის შარშან გარემონტებული დარბაზი ჩინებულ „ფორმაშია", ხოლო ამ დონის შეჯიბრებისთვის აუცილებელი კოსმეტიკური შელამაზებისთვის და სტუმართა სათანადოდ დასახვედრად მასპინძლებს ძალღონე არ დაუშურებიათ. ლუქსემბურგელთა 18-კაციანი დელეგაცია დარბაზიდან ათიოდე წუთის სავალზე, წინანდლის სამთავრობო რეზიდენციაში დაბინავდა. „ბაშარაჟი" ორ დღეში ერთხელ ვარჯიშობს, ვარსკვლავებს ვერ წყვეტს და ლუქსემბურგის შარშანდელ რვაგუნდიან ჩემპიონატში მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდა, თუმც „გლდანთან" შეხვედრაში ფავორიტად ითვლებოდა და ამიტომაც საქმეს სერიოზულად მიუდგა. საქართველოში გამთენიისას ჩამოფრენილებს წესიერად არც გამოუძინიათ, რომ დარბაზს მიაშურეს და საათნახევრიანი „დახურული" ვარჯიში ჩაატარეს, ჩვენიანთაგან არავის მისცეს დასწრების უფლება.

„გლდანი" შარშან შეიქმნა, ცხადია, გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ საევროპოდ გუნდი სახელოვანი, ვეტერანი ხელბურთელებით გაძლიერდა. მიუხედავად ამისა, არა მარტო ბიჭები, არამედ მწვრთნელებიც, ლევან აბესაძე და მერაბ მეტრეველი, თავიდან გვარიანად ღელავდნენ. დასაწყისში სტუმრებმა იძალეს და 3:1 დაწინაურდნენ. აღსანიშნავია, რომ გლდანელთა პირველი საერთაშორისო გოლი გაიტანა ბექა ორჯონიკიძემ, რომელმაც შორიდან, ჩვეულ მაღალ ნახტომში ზუსტი ტყორცნით მიაღწია მიზანს. ეს სასიხარულო ნიშანი გახდა, რადგან ჩვენებმა მალე არათუ გაათანაბრეს ანგარიში, მეხუთე წუთზე დაწინაურდნენ კიდეც — 4:3. სტუმრები თავიანთ საქმეს, არცთუ ცუდად აკეთებდნენ, მაგრამ ორ დღეში ერთხელ ნავარჯიშებლების თამაშში წუნიც ბლომად შეინიშნებოდა. ცხადია, იდეალური სიზუსტით არც გლდანელები გამოირჩეოდნენ, მაგრამ ყოველ ბურთს უფრთხილდებოდნენ, ხშირად ცვლიდნენ შეტევის მიმართულებას და შედეგიანობაც ურიგო არ გახლდათ. მცველებთან ერთად საიმედოდ მოქმედებდა მეკარე ირაკლი კენჭაძე, რომელმაც სამი „პენალტი" აიღო და ორი ამდენი „მკვდარი ბურთიც" მოიგერია.

სასიამოვნო მოულოდნელობა გახდა მასპინძელთა შემადგენლობაში 41 წლის დიმიტრი აბესაძის გამოჩენა. 80-იანი წლების თბილისის „ბურევესტნიკის" კაპიტანმა კარიერა კარგა ხანია, დაასრულა და შიგადაშიგ თავისთვის თუ



ლუქსემბურგელთა შეტევებს ქართველები იოლად უმკლავდებოდნენ

წაივარჯიშებს ხოლმე. მართალია, დიმამ მოედანზე არც ისე დიდი დრო დაჰყო, მაგრამ ვიდრე ასაკი შეახსენებდა თავს, გოლებიც ბლომად გაიტანა და თანაგუნდელები რამდენიმე ისეთი უზუსტესი პასით „გახსნა", რომელთა გამოუყენებლობაც დანაშაული იქნებოდა.

ტაიმი „გლდანმა" თითქმის ორმაგი სხვაობით მოიგო — 17:9 და საქმეც თითქმის მთლიანად მოგვარებული იყო, მით უფრო თამაშის განახლებისთანავე აბესაძის მორიგი ზუსტი ტყორცნის შემდეგ, როცა სხვაობამ ცხრა ბურთს მიაღწია. ისიც უნდა ითქვას, რომ დიმიტრი, რაკი დაღლა დაეტყო, მეორე ტაიმში მხოლოდ 7-მეტრიანი საჯარიმოების დასარტყმელად გადიოდა მოედანზე და ერთის გარდა ყველა ნატყორცნი შედეგიანი გამოუვიდა.

რვა-ცხრა ბურთიანი სხვაობა ათ წუთს ძალაში დარჩა, მერე კი, როცა მწვრთნელებმა დაღლილ ვეტერანებს დასვენების საშუალება მისცეს, „გლდანის" შეტევებს სიმწვავე მოაკლდა და დაცვაც ცოტა აირია, რითაც უმალ ისარგებლეს ლუქსემბურგელებმა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ლეგიონერები — 35 წლის უკრაინელი იური გავრილოვი და 41 წლის სლოვაკი მეკარე იან ოსტრიჰონი. ბოლო წუთზე სხვაობა ოთხ ბურთამდე შემცირდა — 33:29. სტუმრებს მეტიც შეეძლოთ, მაგრამ საფინალო სასტვენამდე რვა წამით ადრე კენჭაძემ პირისპირ გასული მეტოქის მორიგი ნასროლი მოიგერია და ზუსტი პასით ამირან ყიფიანი ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანა — 34:29.

კახელები მასპინძლობაში ჩემპიონები არიან, არაფერი გამორჩებათ და სულაც არაა გასაკვირი, რომ საუკეთესო მოთამაშის პრიზი „ბაშარაჟიდან" ყველაზე აქტიურს, გავრილოვს გადასცეს. ეს, ცხადია, სიმბოლური ჟესტი იყო,


„გლდანის" შტაბი: ლევან აბესაძე, მერაბ მეტრეველი და დიმიტრი აბესაძე

**ევროპის თასების მფლობელთა თასი (პი[illegible]**

**თელავი. სპორტთამაშების სპორტსკოლის დარბაზი**

**12 ოქტომბერი**

**გლდანი (საქართველო) 34:29 (17:9) ბაშარაჟი (ლუქსემბურგი)**

**გლდანი:** კენჭაძე, მეიფარიანი (3 გოლი), ორჯონიკიძე (8), დიმიტრი აბესაძე (6), ჩუბინაშვილი (8), სვიმონიშვილი (4), ნატროშვილი, ნემსაძე (2), ყიფიანი (1), გობეჯიშვილი (1), ნადირაძე (1), ჯიშკარიანი, სეთურიძე

**ბაშარაჟი:** ოსტრიჰონი, ბეფორი (7), გავრილოვი (2), მარტინ ჰუმელი (9), მარკ ჰუმელი (6), იოვანოვიჩი (2), ლალემანი, გრეგნანი, პელცერი (2), შეფენი, შოლტესი (1), ბისი

**13 ოქტომბერი**

**გლდანი (საქართველო) 34:31 (17:17) ბაშარაჟი (ლუქსემბურგი)**

**გლდანი:** კენჭაძე, მეიფარიანი (9), ორჯონიკიძე (6), ლევან აბესაძე (3), ჩუბინაშვილი, სვიმონიშვილი (5), ნატროშვილი (1), ნემსაძე (2), ყიფიანი (5), გობეჯიშვილი, ნადირაძე (3), ჯიშკარიანი, სეთურიძე

**ბაშარაჟი:** ოსტრიჰონი, ბეფორი (3), გავრილოვი (6), მარტინ ჰუმელი (9), მარკ ჰუმელი (3), იოვანოვიჩი (4), ლალემანი (3), გრეგნანი, პელცერი (2), შეფენი, შოლტესი (1), ბისი

თორემ ობიექტურად, საშუალება რომ ყოფილიყო, ასეთ პრიზს მოედანზე გასული ცამეტივე ქართველი ხელბურთელი იმსახურებდა. გავრილოვი პრიზის მიღების შემდეგ „დაგვპირდა", ხვალ ექვსი ბურთით მოგიგებთო. ეს, რასაკვირველია, ხუმრობით ნათქვამი იყო და არა უაზრო ბაქიაობა, რადგან მშვენივრად იცოდა, რომ ეს „ბაშარაჟის" ძალას აღემატებოდა.

ასეც მოხდა, მეორე შეხვედრაში მასპინძლები თავიდანვე დაწინაურდნენ და ერთხელაც არ მიუციათ მეტოქისთვის გასწრების საშუალება. ლუქსემბურგელებმა პერსონალურად „აიყვანეს" ბექა ორჯონიკიძე და ვახტანგ მეიფარიანი, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ვეტერანებმა ბოლომდე ენერგიულად, რაც მთავარია, შედეგიანად იბრძოლეს — მათ ანგარიშზე მთელი გუნდის გოლების თითქმის ნახევარი მოდის.

ფეხდაშავებულ დიმიტრი აბესაძეს ამჯერად არ უთამაშია, სამაგიეროდ, მოედანზე ვიხილეთ მისი ტყუპისცალი, „გლდანის" მოთამაშე-მწვრთნელი ლევან აბესაძე. ლევანიც მშვენივრად გაისარჯა, სამი გოლიც გაიტანა და ერთი-ორჯერ ისე შეფრინდა მეტოქის დაცვის ზონაში, მისი ასაკის კაცისგან გასაკვირი იყო.

პირველი ტაიმი ფრედ კი დასრულდა, მაგრამ მასპინძელთა წარმატება ორი მატჩის ჯამში სათუო წუთითაც არ გამხდარა, გლდანელებს თამაშის სადავეები ერთხელაც არ გაუშვიათ ხელიდან, მეორე მატჩიც მოიგეს (თუმც შედარებით მოკრძალებული სხვაობით) და ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეორე ეტაპზე გავიდნენ.

ლევან აბესაძე ორმაგად კმაყოფილი იყო, ბიჭებმაც გაახარეს და თავადაც არცთუ მცირე წვლილი შეიტანა საერთო წარმატებაში:

— ყველას მადლობელი ვარ, თავი არავის დაუზოგავს და საკუთარი შესაძლებლობების ზღვარზე ითამაშეს. ცხადია, ხარვეზები საკმაოდ გვქონდა, მაგრამ ეს ბუნებრივია, რადგან 18-20 წლის ბიჭებს გამოცდილება აკლიათ, თანაც გუნდში ახალმოსულ ვეტერანებთან შესათამაშებლად დრო საკმაო არ იყო. განსაკუთრებით აღვნიშნავ ვახტანგ მეიფარიანს, რომელიც მეორე მატჩში საუკეთესო იყო და სწორედ მისმა აქტიურობამ და შედეგიანობამ ითამაშა გადამწყვეტი როლი გამარჯვებაში. გამოცდილ მეტოქესთან დაძაბულ ბრძოლაში იყოჩაღეს აგრეთვე 18 წლის მეკარე გაგა სეთურიძემ და 16 წლის მარცხენაფლანგელმა ამირან ყიფიანმა.

„გლდანის" მეტოქის ვინაობას ღლეს ვენაში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის შტაბბინაში კენჭისყრის შემდეგ შევიტყობთ.

**გია ახალაძე**

**ავტორის ფოტოები**



„გლდანი" შედეგიანად უტევდა და კახეთში ევროპა დაურჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიზმრად ვნახე საქართველო...

უცებ წამოვხტი. სულ მთლად გაოფლილი ვიყავი. ერთ ხანს აზრზე ვერ მოვედი, სად ვიყავი. ყურებში რაღაც ხმებს ზუზუნი გაჰქონდათ. ბნელა. უცბად მომჭვენა, რომ ისევ სტადიონზე ვარ. ნელ-ნელა მახსენდება: სტადიონზე საღამოს ვიყავი, ახლა კი ღამეა, საცაა ირიჟრაჟებს. უჰ, ეს რა საშინელი სიზმარი მინახავს, კიდევ კარგი გამეღვიძა.

რა დამესიზმრა? კატა ვიყავი და ძაღლები მომდევდნენ... არა, არა, მაგის მერე კიდევ რაღაც ვნახე, უფრო საშინელი და იმან გამაღვიძა. ჰო, გამახსენდა, საქართველოს ჰიმნი ვიყავი და ვიღაც ძია ისტორიის სანაგვეზე გადაგდებას მიპირებდა. მოიცა... არა კაცო, მაგის მერეც ვნახე რაღაც.

სიგარეტს დავწვდი. მოვუკიდე. ნელ-ნელა გონება დამეწმინდა და მესამე სიზმარი ამოტივტივდა:

მაგიდა ვიყავი. რაღაც შენობაში ვიდექი, რომელსაც ძალიან ბევრი მინა ჰქონდა და ჩემს გარშემო მდგარ სკამებს ამაყად ვუყურებდი. მერე ორი კაცი მოვიდა, სკამებზე დასხდნენ და იდაყვები დამალაგეს. ერთმა თავზე სიგარეტის კოლოფი და სანთებელა დამადო (საფერფლე იქამდეც მედო) და ლაპარაკი დაიწყეს. ფეხბურთს ახსენებდნენ ხშირად. ფეხბურთი რომ თამაში იყო მივხვდი, ოღონდ რა თამაშია არ ვიცოდი. ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანი.

მაგიდა ვიყავი და აბა, ადამიანების ჭკვიანური ლაპარაკიდან ყველაფერს როგორ გავიგებდი, მაგრამ მგონი, რაღაც შეთქმულებაზე ლაპარაკობდნენ.

უფრო ახალგაზრდა ამტკიცებდა, თამაშს თუ ჩავშლით, ჩვენც მოვიგებთ და თქვენცო. უფრო ხნიერმა ჩაიცინა, თქვენთან მე ისედაც ყოველთვის მოგებული ვიქნებიო.

— გეთანხმებით, ჩვენ თქვენთან ახლოსაც ვერ მოვალთ, მაგრამ ბურთი მრგვალია და ამ ერთხელ რომ მოგიგოთ, მერე სად მიდიხართო — მაინც თავისას გაიძახდა ახალგაზრდა.

მაგრამ ხნიერს მოატყუებდა?

—ჰოდა, ადექით და მოგვიგეთ, რა ჩაშლა მოგინდათო — ისევ ჩაიცინა ხნიერმა.

აქ კი, როგორც მომჩვენა, ახალგაზრდამ ისეთი ჭკვიანური რამ თქვა, თავად გაუკვირდა: სიყვარულოვიჩ, თქვენ ალბათ მოიგებთ, მაგრამ ასპროცენტიანი გარანტია გაქვთ? არა. მე უეჭველ ორიანს გთავაზობთ, თუკი მატჩის სხვა დროს გამართვას დამთანხმდებითო.

ახალგაზრდამ ხნიერს დაინტერესება შეატყო და უფრო თამამად განაგრძო: მოგების დიდი იმედი არ მაქვს და ხალხის ამბავი რომ ვიცი, გადაირევა. ჯერ ხომ გინებით აგვიკლებენ, მერე ამ ახალ გარემონტებულ ლოჟისს დაგვილეწავენ და ცოცხლები თუ გადავრჩით, ქუჩაში ვეღარ გავალთ. ხალხი კიდევ ნაკლებად მადარდებს, გინებასაც რა ხანია, შევეჩვიეთ, მაგრამ სტადიონზე ბელადიც მოვა და რამე რომ მოხდეს — არადა, მოხდება — მერე რა გვეშველება?!

და სხვა დროს რომ მოგიგებთ, მაშინ არ გეშინიათ ხალხისო? — ცალი თვალი მოჭუტა ხნიერმა.

— ოჰ, იმ დროისთვის ჯგუფში ჩარჩენილები ვიქნებით და ხალხი სულ არ მოვა სტადიონზე, მაგის დარდი ნუ გაქვთო — გამხიარულდა ახალგაზრდა და მარჯვენა თვალი ჩაუკრა — ვგებ ნეიტრალური მოედანიც გავახერხოთ.

ხნიერი კი არ მოეშვა, როგორ აპირებ თამაშის ჩაშლასო, ოღონდ ჩხუბი და იარაღის ტრიალი არ დამანახოო.

— როგორ გეკადრებათ, სიყვარულოვიჩ, რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ, შუქს გამოვრთავთ, ჩვენ ხალხს ეგ ამბავი მაინც არ გაუკვირდება და საქმეც გაიჩარხებაო.

—გეტყობათ, რომელ საუკუნეშიც ცხოვრობთო — ჩაიბურდღუნა ხნიერმა და ახალგაზრდას გაწვდილ ხელზე ხელი დაჰკრა.

მერე გავიდნენ და დიდხანს ჩემს სკამებთან მარტო დავრჩი. წამთვლემა. უეცრად ღრიალი გავიგე. ქუჩიდან ისმოდა, ვილაცეების დედებს ახსენებდნენ და შენობის დალეწვით იმუქრებოდნენ. ერთი კი გავიფიქრე, თავში ქვა უხლიათ-მეთქი, მაგრამ გამახსენდა, მეც ამ შენობაში რომ ვცხოვრობ და ძალიან შემეშინდა...



# იქ ყველაფერი გამოჩნდა!

## ბნელში დანახული სიმართლე

## მივხვდით! მივხვდით!

*მივხვდი, რატომაც აითვალწუნა საქართველოს უმაღლესმა ხელისუფლებამ „დიდება“ — იქ ხომ ასეთი სიტყვებია: „სალამი ჭეშმარიტების შუქ განთიადსა!“ და, რა გასაკვირია, უმაღლეს ხელისუფლებას შუქის ხსენებაზე ელეთ-მელეთი მისდიოდეს.*

შაბათ ღამით ერთი უცნაური ამბავიც შემემთხვა: სტადიონიდან სახლში მისულმა რუსული ტელეარხები რომ ჩამოვიარე, მაინტერესებდა, ჩაშლილ თამაშს როგორ კომენტარს გაუკეთებდნენ, საკუთარი თავი გამოვიჭირე: რუსი კომენტატორების ქილიკი, პირველად ცხოვრებაში, არ მაღიზიანებდა. მეტიც, „ენტევე ფუტბოლზე“ ვლადიმირ მასლაჩენკოსეული შეფასება — „ბეზობრაზიე“, მეტისმეტად ლმობიერად მომეჩვენა.

და ერთიც — შაბათს ჩაშლილი თამაში, როცა იქნება, გაიმართება და შესაძლოა, უქსცესებოდაც კი ჩამთავრდეს, მაგრამ ალალად ვიტყვი, რომ შედეგი დიდად აღარ მაინტერესებს: საქართველოს ეროვნული გუნდის ქომაგი ვარ და არა ფეხბურთის ფედერაციის კერძო გუნდისა.

...ხალხი აღრიანად დაიძრა სტადიონისკენ, თამაშის დაწყებამდე ორი საათით ადრე უკვე ბლომად ქომაგი შეიკრიბა. ჭკვიანურადაც მოიქცნენ — „დაგვიანებული“ სარბიელელი „ლოკომოტივზე“ 40 წუთით ადრე მოვიდა და ტრიბუნაზე აღწევას ოცი წუთი მოანდომა, ლამის ღილებიც დააგლიჯეს. ერთმა ჩვენმა კორესპონდენტმა, ტურინში რომ არის ნამყოფი, ერთხელ მითხრა, 80-ათასიანი „დელე ალპის“ პირთამდე გავსებას სულ 15 წუთი სჭირდება, ხოლო „დავკაში“ ძალიანაც რომ მოინდომო, ვერ მოჰყვები, ისე კარგად არის ყველაფერი ორგანიზებული. ცნობისთვის: „ლოკომოტივი“ ოდენ 25 600 მაყურებელს იტევს.

თუმცა ტრიბუნასთან მისასვლელ ჭიშკართან ოცი წუთი ყურყუტი, თუნდაც ჭყლეტვა, ხომ წვრილმანია ქართული ფეხბურთის მესვეურთათვის — აქეთ შემოგიტევენ, ეტყობა, ნაღდი „დავკა“ არ გინახავთო. კი, გვინახავს, როგორ არ გვინახავს.

საგანგებოდ ყური არ მიგდია, მაგრამ ქომაგთა საუბარში ერთხელაც არ გამიგია — ჩვენები მოიგებენ, აბა, რას იზამენო — ვინმეს ეთქვას. თუკი იყვნენ ასეთები, თითო-ოროლა, განწყობა კი ასეთი გახლდათ: ნეტავ, მოიგებდნენო. ამ „ნეტავ, მოიგებდნენ“-ში გვარიანი უიმედობა გამოსჭვიოდა.

ადრე მისულ ხალხს რაღაცით ხომ უნდა შეექცია თავი. ორგანიზატორებმაც ამ საქმეს მონდომება არ დააკლეს და ორიგინალური კლიპებით გაგვიმასპინძლდნენ: ოდინდელ სპაის-გოგო ჯერი ჰოლიველს „შატილის ასულო“ „ამღერეს“ და ასე შემდეგ. ჰო, ტაბლოზე მალიმალ გვიჩვენებდნენ ღრმად შინაარსიან კადრებს — დიდი სისწრაფით მქროლავ ელმავალს, რომელსაც ნავთობის ცისტერნიანი ვაგონები ჰქონდა ჩაბმული. ალბათ, აქაოდა, არ დაგავიწყდეთ, ვის სტადიონზე ხართო. მართალია, გემოვნებაზე სწორედაც რომ კამათობენ, მაგრამ ჯანდაბას, ნუ ვიკამათებთ, ბოლოს და ბოლოს, სტადიონის დირექციისთვის ეს ხომ წვრილმანია. რომ ეკამათო, აქეთ მოგაწვებიან, მეტი უგემოვნება ვითომ არ გინახავთო. როგორ არ გვინახავს.

ნელ-ნელა რუსი ჟურნალისტებიც მოგროვდნენ. მოშორებით ერთი რუსი საცოდავად იდგა და კითხულობდა, პრესცენტრს ხომ ვერ მიმასწავლითო. ერთი ათი წუთი ეგრე იდგა და რუსთა დელეგაციის ოფიციალურ მასპინძელთაგან არავინ გამოჩნდა, ვინც მიასწავლიდა.

თამაშის დაწყებამდე 45 წუთით ადრე ქართველი ფეხბურთელები მოედანზე გავიდნენ. ტრიბუნებზე ტაშისკვრა ატყდა. ტაში უფრო ხმაურიანი იქნებოდა, ხალხი მეტი რომ ყოფილიყო. იმ დროისთვის ტრიბუნები სანახევროდ თუ იყო სავსე — ჯარისკაცები და პოლიცია რომ არა, სანახევროდ სავსეც არ იქნებოდა. თამაშამდე 45 წუთი ცოტა დრო არ არის, მაგრამ უკვე ნათელი იყო, ბოლომდე რომ არ გაივსებოდა. არგავსების მიზეზებზე ქვემოთ ვთქვათ, აქ კი ვიკითხოთ: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრისას, როცა საქართველოს მეტოქედ რუსეთი ერგო, ვინმე იფიქრებდა, რომ საქართველო — რუსეთის მატჩი სტადიონს ვერ გაავსებდა?

გუნდების სამატჩო განაცხადები ჩამოგვირიგეს. უფრო სწორად, ვინც ვიმარჯვეთ, იმათ გვერგო. დანარჩენები დაამშვიდეს, კიდევ დავაქსეროქსებთ და ორ წუთში გახლებთო. განა თავიდანვე საკმარისი რაოდენობით არ ჰქონდათ — უბრალოდ, სანამ ჩვენამდე ჟურნალისტებამდე მოაღწია, უამრავმა ხალხმა, მეტწილად პოლიციელებმა წაავლეს ხელი.

რა მოხდა მერე, არა? ორი წუთი ვერ მოუთმენია უგანაცხადოდ დარჩენილ ჟურნალისტს? ბოლო-ბოლო, გვერდით მჯდომმა განაცხადიანმა ვერ ჩაახედა თავის ფურცელში? რა, პოლიციელი ადამიანი არ არის, არ აინტერესებს შემადგენლობის გაცნობა? ასეთ წვრილმანებზე გამოდავება ღირს განა? ღირს, ღირს. საჭიროც არის. ელემენტარულ წესრიგზეა ლაპარაკი, თორემ უგანაცხადო ჟურნალისტი ორ წუთსაც მოითმენდა და მეზობელსაც დაესესხებოდა. ცხადია, პოლიციელიც ადამიანია. სხვათა შორის, უგანაცხადოდ დარჩენილ ქართველ ჟურნალისტებს ბოლოს რუსეთის ნაკრების პრესატაშემ, „ენტევე ფუტბოლის“ წამყვანმა ალექსეი ანდრონოვმა დაურიგა ფურცლები.

მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთიღა დარჩა. კომენტატორი შემადგენლობების გამოცხადებას შეუდგა. ჯერ რუსები ჩამოთვალა და ქართველებზე გადავიდა:

ნომერი პირველი, გიორგი ლომაია — გულშემატკივრებმა ტაში დაუკრეს.

ნომერი ორი, ალექსანდრე რეხვიაშვილი — ტაში.

ნომერი სამი, გიორგი შაშიაშვილი — ტაში.

და ასე შემდეგ, თერთმეტამდე...

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ალექსანდრე ჩივაძე — ტაში შეიდმა კაცმა თუ დაუკრა.

გუნდები მოედანზე გავიდნენ. ჰიმნები დაუკრეს. „საიუზ ნერუშიმის“, ცხადია, სტვენა მოჰყვა, „დიდებას“ კი, რომლის ტექსტის ათასობით ეგზემპლარიც მოხალისეებმა სტადიონზე დაარიგეს, ხალხი ვერ აჰყვა, გულში თუ მღეროდნენ, ვერ გეტყვით. ხოლო ფეხბურთელთა საქმე ასე იყო: ჰიმნების შესრულებისას რუსები თავიანთი დროშისკენ, აღმოსავლეთ ტრიბუნისკენ შებრუნდნენ, ქართველებმა კი დასავლეთ ტრიბუნისკენ ქნეს პირი, სადაც, მართალია, დროშა სულაც არ ფრიალებდა, მაგრამ, როგორც აქამდე ჩამოთვლილი ბევრი რამ, ჩვენში ესეც ხომ წვრილმანად ითვლება.

თამაში დაიწყო და რა — აღმოჩნდა, რომ სტადიონის პრეს-ლოჟიდან ფეხბურთის ყურება მხოლოდ სკამზე შემდგარს შეეძლო. მიზეზი ის გახლდათ, რომ ჩვენს წინ პოლიციელები და სტადიონზე მობრძანებული უმაღლესი ხელისუფლების მცველები იყვნენ ჩახერგილები. სწორედ ჩახერგილები, რადგან ყოველ კვადრატულ მეტრ ფართობზე სამი კაცი მაინც იდგა. ჩვენს აღშფოთებაზე მცველები ფრიად თავაზიანად გვპასუხობდნენ, ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ და ფეხს ვერ მოვიცვლითო. ჰო, ჰო, ვიცი, რომ გვეტყვიან, უმაღლესი ხელისუფლების დაცვა უმნიშვნელოვანესი საქმეაო, მაგრამ სტადიონზე მისული კაცი უნდა იხვეწებოდეს, ვებ ფეხბურთი მაყურებინოთო? თუმც მათთვის ესეც ხომ წვრილმანია.

მოკლედ, თამაში დაიწყო.

ვერ დამთავრებულ მატჩზე წერა ცოტა არ იყოს, ძნელია. უფრო სწორად, ვინმე აუცილებლად იტყვის, ერთი ტაიმის მიხედვით ნუ განსჯით ჩივაძის გუნდის შესაძლებლობებს, აბა, საიდან იცით, მეორე ტაიმში ჩვენები ცეცხლს რომ არ დაანთებდნენ მოედანზე და რუსებს ვერ დაამარცხებდნენო.

დანამდვილებით, ცხადია, არაფერი ვიცით, მაგრამ პირველი ტაიმის მიხედვით აშკარად გამოჩნდა, თუ რისი მაქნისი იყო ეს გუნდი — ქარი თუ დაუბერავდა და ბურთს ოვჩინიკოვის კარში შეაგდებდა, თორემ ესენი გამტანნი არ ჩანდნენ.

აბა, გაიხსენეთ, რამდენი ღირებული მომენტი შეიქმნა რუსების კართან? არც ერთი. რამდენჯერ დაარტყეს მეტოქის კარში? ერთხელ (კობიაშვილმა) და ისიც ისე სუსტად, ოვჩინიკოვი ეგეთ ბურთებს არ უშვებს.

ასეთ რამეს ამბობენ: ჩვენებმა უკეთ ითამაშეს, ვიდრე შვეიცარიასთანო. ერთი რომ, ძალიან ცუდად თამაშსა და ცუდად თამაშს შორის დიდი განსხვავება არ არის და მეორეც — ჩივაძელებმა ახლაც ისევე ითამაშეს, როგორც შვეიცარიასთან გოლის გაშვებამდე. გოლის გაშვების მერე კი, მოგეხსენებათ, ამათთვის „პირველი გოლის“ ყბადაღებული ფაქტორი იწყებს მუშაობას და ისე წახდებიან ხოლმე, უარესს ვერ წარმოიდგენ.

პირველი ტაიმის ზოგადი სურათი ასეთი იყო: ჩივაძის ბიჭები ძალიან მძიმედ გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე, თავდამსხმელებამდე ბურთის მიტანა ხომ სრულიად წარმოუდგენელი რამ იყო — 45 წუთის მანძილზე ერთი თუ ორი მეტნაკლებად ზუსტი პასი გამოუვიდათ. ბურთი მალიმალ იკარგებოდა, რასაც რუსების სწრაფი საპასუხო იერიშები მოჰყვებოდა. მეტოქე მეტწილად იმ ფლანგიდან უტევდა, რომელიც ლევან კობიაშვილს ებარა, რაკი უმალ შენიშნეს, რომ ფრაიბურგელი კალაპოტიდან იყო ამოვარდნილი და მეტოქეს ღრმად შემოღწევის საშუალებას აძლევდა. შავ დღეში იყო გივი დიდავა, რომელსაც საკუთარი ზონის გარდა ფლანგის კონტროლიც უხდებოდა. ლევან ცქიტიშვილმა გამთამაშებლობა ვერ გასწია, ლადო ბურდულის ფუნქცია კი, მაპატიეთ და, ვერ გავიგე.

ერთი საინტერესო ფაქტიც: საწყის 15-20 წუთში ვალერი გაზაევი ნერვიულობისგან ისე ცმუკავდა და ღრიალებდა, გვერდითი და მეოთხე მსაჯები ძლივს აკავებდნენ. აღნიშნული დროის მერე კი ვალერი გიორგევიჩი დამშვიდდა, ალბათ მიხვდა, რუსთა გოლი ოდენ დროის ამბავი რომ იყო.

კიდევ, შოთა არველაძეს მატჩის წინა დღეს არ უვარჯიშია, კოჭი აწუხებდა — ის კოჭი, რომლის გამოც 25-ე წუთზე შეცვლა მოითხოვა. საკვირველი ის არის, დაშავებული კაცი სასტარტო შემადგენლობაში რატომ იყო.

ტაიმის დასრულებამდე 6 წუთით ადრე შუქი ჩაქრა. რომ მოვიდა, გავიხარე — უმაღლესი ხელისუფლების დაცვა უმაღლეს ხელისუფლებასთან გაქცეულიყო და ვიფიქრე, აგაშენათ ღმერთმა, ახლა კი წესიერად ვუყურებ თამაშს-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, ორ წუთში ისევ წინ ამეტუზნენ. ამასობაში შუქი ისევ ჩაქრა და ტაიმიც დამთავრდა.

ისევ ჩოჩქოლი ატყდა, უმაღლესი ხელისუფლების დაცვა ისევ უმაღლეს ხელისუფლებასთან გაიქცა.

ვსხედვართ. მალე ჯდომა მოგვებეზრდა, მაგრამ სად წახვალ? სამწუხაროდ ტრიბუნამ, ბოზებო, ბიჭებო მამაძაღლებო აჭყება. ადრესატის სახელს არ ყვიროდნენ, მაგრამ აშკარად ბევრ ვინმეს გულისხმობდნენ. ასე გავიდა 34 წუთი.

შუქის ჩაქრობიდან 34 წუთის გასვლის მერე კი ბატონმა ნუგზარ ჯულელმა გვამცნო, შუქი ჩაქრაო (!!), მალე შეაკეთებენო და თამაშიც გაგრძელდებაო.

...შუქის მეორედ ჩაქრობიდან 40 წუთში კი, ჩემს გვერდით მჯდომმა რუსმა ჟურნალისტმა (ინტერნეტ-გაზეთ გაზეტარუ-დან) მოსკოვში თავის რედაქტორთან დარეკა, სიბნელეში ვზივარ, შუქის მოსვლას და თამაშის გაგრძელებას ველიო. რედაქტორმა კი, რას ელოდები, „როიტერმა“ უკვე გადმოსცა მატჩის საბოლოოდ ჩაშლის ამბავიო. კოლეგამ, რედაქტორთან საუბრის შინაარსი რომ თქვა, გაოცებულმა მკითხა, კი მაგრამ, სტადიონზე რატომ არ აცხადებენო? გულუბრყვილოდ გამოუვიდა.

იმიტომ არ გამოაცხადეს, რომ შეეშინდათ. ამდენი ხალხი ერთბაშად რომ მიაწყდება გასასვლელს, ჭყლეტვა არ მოხდესო, ამისი კი არა, თვითონ ხალხის შეეშინდათ — უთავობისთვის, შეურაცხყოფისთვის, 50-ლარიანი ბილეთებისთვის პასუხი არ მოგვთხოვონო. თან ფედერაციის შენობაც იქვეა... ასე კი, ხალხი ნელ-ნელა დაიშალა და საფრთხეც ასცდათ.

რაო? სწორედ ჭყლეტვის აცილებაზე ვფიქრობდითო? თქვე კაი ხალხო, ამდენი წელია, „ეროვნულზე“ მისულ ზღვა ხალხს ჭიშკრებს რომ უკეტავდით და ერთი ვიწრო გვირაბისკენ ერეკებოდით, მაშინ რატომ არ გეშინოდათ „დავკის“?

ქომაგთა ერთი ნაწილი მაინც მიადგა ფედერაციის შენობას და გინებით გული იჯერა. პოლიცია მშვიდად ადევნებდა თვალ-ყურს — მთავარია, უმაღლესი ხელისუფლება უსაფრთხოდ გამგზავრებულიყო და გინებას ვინ ჩიოდა.

მეტი რა გითხრათ...

ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, მატჩამდე ბილეთების სიძვირეზე რომ ვკითხეთ, გვიპასუხა, სულაც არ არის ძვირიო. ნეტავ, როგორ ახსნის ბატონი ჩოლარია ტრიბუნებზე სიხალვათეს?

ერთი სიტყვით, საქართველოს არც ნაკრები ჰყავს ხეირიანი და არც ფედერაცია. როგორ უნდა თქვას ქომაგმა იმ ხალხზე — ჩემი და ეროვნული — რომლისგანაც შეურაცხყოფის მეტი არაფერი მიუღია.

ფედერაციას დროგამძლე სეიფში აქვს ჩაკეტილი ალექსანდრე ჩივაძის კარგი მწვრთნელობის არგუმენტები, ჩივაძე ხალხთან ლაპარაკს გაურბის და ხანდახან რამე მაინც თუ დასცდება, მხოლოდ ყველაფრის ფეხბურთელებსა და ჟურნალისტებზე გადაბრალება.

ფეხბურთელები კი ვერც ნაკრებში არსებულ ქაოსზე ბედავენ ხმის ამოღებას და ვერც იმ ბრალდებებზე, მწვრთნელი და ფედერაციის პრეზიდენტი ყოველი წაგებული თამაშის მერე რომ უყენებენ. წლიდან წლამდე ასე არ არის? მაგალითი ინებეთ:

„მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ალექსანდრე ჩივაძემ პილატესავით ხელები დაიბანა და ყველაფერი მოთამაშეებს გადააბრალა. ჟურნალისტთა დაჟინებულ კითხვებს კი, თავად რა შეცდომა დაუშვა, „ჩვენი წილი პასუხისმგებლობა“ კი ახსენა, მაგრამ ფაქტობრივად უდრეკად უპასუხა, უცოდველი ვარო.“

**სარბიელი**

**12.11.96**

*ინგლისთან წაგების მერე*

ხოლო თუ ვინმემ რამე მაინც თქვა, ფედერაციის პრეზიდენტს პასუხი მზად აქვს, ფეხბურთელმა ენას კბილი უნდა დააჭიროსო.

ალექსანდრე ჩივაძეს კი ცნობილი ნოდარ ახალკაცის სიტყვებს შევახსენებთ:

„ჩივაძემ დიდი პასუხისმგებლობა აიღო თავზე და ეყოფა კაცობა, წარუმატებლობის შემთხვევაში თავად გადადგეს.“

**ნოდარ ახალკაცი**

**28.01.94**

შესარჩევი ეტაპის მშვიდად ჩამთავრებას გისურვებთ, ბატონებო.

**გიორგი დარჯანია**



# გველოდეთ მომავალში

## უეფა გვარწმუნებს: გადათამაშება იქნება ფედერაცია გადაიხდის, საქართველო ითამაშებს

რაღაც მოხდება... 12 ოქტომბრის მატჩამდე ამას ბევრი ამბობდა. მოხდა კიდეც. თბილისის „ლოკომოტივის“ თითქმის შევსებული სტადიონი, სადღაც ცხრა საათისთვის სტუმარ რუსებისთვის ლამის ჯოჯოხეთად იქცა — ჩაქრა შუქი, აინთო ცეცხლი.

**უეფა:**

— თბილისში მატჩის ჩაშლასთან დაკავშირებით დღეს კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. დიახ, მივიღეთ მატჩის დელეგატისა და არბიტრის პატაკები, ახლა კი ვარკვევთ, რა მოხდა. რა თქმა უნდა, ვიხელმძღვანელებთ ჩვენი წეს-კანონებით და გადაწყვეტილებასაც მალე მივიღებთ. ზუსტ თარიღს ვერ გეტყვით, თუმცა დაგარწმუნებთ, რომ მატჩი გადათამაშდება.

***რუდოლფ ბატა*, საქართველო — რუსეთის მატჩის უეფას დელეგატი:**

— მატჩის შეწყვეტის თაობაზე მაშინ გამოვაცხადე, როცა ტაიმებს შორის შესვენების დრო ამოიწურა. რაკილა ამის შემდეგ ნახევარი საათის განმავლობაში სტადიონი არ განათდა, უეფას დებულებას დავემორჩილე და მატჩის გადადებაზე გადაწყვეტილება ორივე მხარეს ვაცნობე.

**— უეფას დებულებითვე ტექნიკური მიზეზებით ჩაშლილი მატჩი მეორე დღეს უნდა გადათამაშდეს.**

— დიახ, ასეა. თუმცა ამ შემთხვევაში მასპინძლები და სტუმრები მატჩის სხვა დროისთვის გადადებაზე შეთანხმდნენ.

**— ვთქვათ, მასპინძელი მხარე თანახმა ყოფილიყო მატჩის მეორე დღეს ჩატარებაზე, სტუმრებს კი უარი ეთქვათ, ასეთ შემთხვევაში რა მოხდებოდა?**

— ესეც უეფას გადასაწყვეტი იქნებოდა. ისინი ჩემს პატაკს დაელოდებოდნენ.

**— უეფას პატაკი ისედაც ხომ წარუდგინეთ. რა დაწერეთ?**

— ვერაფერს გეტყვით. ამის უფლება არ მაქვს.

**— როგორ ფიქრობთ, „ლოკომოტივის“ სტადიონზე დივერსია იყო თუ ტექნიკური ხარვეზი?**

— ეს სტადიონის ხელმძღვანელებს ჰკითხეთ. ისე კი, კატასტროფა არ მომხდარა. კატასტროფა ომია, თბილისში კი უბრალოდ, სტადიონზე შუქი ჩაქრა. ასეთი რამ ყველგან ხდება, სასწაული არაფერია.

**— რა სანქციებს უნდა ელოდოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უეფასგან?**

— ფულად ჯარიმას.

**— მხოლოდ?**

— დიახ, მსგავსი შემთხვევებისას მხოლოდ ფულადი ჯარიმაა გათვალისწინებული, თუმცა ვერ გეტყვით, უეფას შესაბამისი კომიტეტი მომხდართან დაკავშირებით რას იტყვის. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უპირველესი პრობლემა კი მაინც, ვფიქრობ, ფული იქნება. გადათამაშების ყველა ხარჯი მან უნდა აანაზღაუროს.

**— მატჩის მოგვიანებით გადატანის იდეა ქართველებისა იყო თუ სტუმრების?**

— ორივე მხარე შეთანხმდა, რომ მატჩი მოგვიანებით ჩატარდეს.

***ვლადიმირ როდიონოვი*, რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალური მდივანი:**

**— თქვენი აზრით, თბილისში დივერსიული აქტს ჰქონდა ადგილი თუ მატჩის შეწყვეტის მიზეზი სტადიონის ენერგოსისტემის ტექნიკური გაუმართაობა იყო?**

— გვსურს, გვჯეროდეს, რომ საქმე ტექნიკურ ხარვეზებთან გვაქვს.

**— დარწმუნებული არ ხართ?**

— არა, დარწმუნებულნი არ ვართ. ამ საქმეს გამოძიება სჭირდება და ვიმედოვნებთ, რომ უტყუარ პასუხს მივიღებთ.

**— მატჩი შეწყდა, თუმცა უნდა გადათამაშდეს. წინააღმდეგნი იქნებით, თბილისში ხელმეორედ ჩამოსვლამ რომ მოგიწიოთ?**

— რატომ უნდა ვიყოთ წინააღმდეგნი? შემიძლია, გითხრათ, რომ გადათამაშებაც თბილისში გაიმართება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ წინააღმდეგნი არ ვართ.

**— გადათამაშებას როდისთვის ველოდოთ?**

— მომავალი წლისთვის.

**— უფრო კონკრეტულად?**

— მეტს ვერაფერს გეტყვით. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან უკვე შევთანხმდით, რომ გაისად ვითამაშებთ. ესაა და ეს. თარიღზე ლაპარაკი ჯერ არ ყოფილა.

**— რაც უნდა იყოს, თარიღი მაინც უეფას დასადგენია...**



რუდოლფ ბატა

— დიახ, საქმე სამი მხარის მოსაგვარებელია — უეფას, ჩვენი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის. ჩვენ და თქვენი ფედერაცია მატჩის გაისად გამართვაზე წინასწარ უკვე შეთანხმებულნი ვართ, უეფა კი წინააღმდეგი არ იქნება.

**— რუსეთის ნაკრების განწყობა როგორია?**

— ჩვენ ახლა ვოლგოგრადში ვართ და ალბანელებთან სათამაშოდ ვემზადებით. გუნდი შაბათის თბილისურ მატჩზე აღარ ფიქრობს, თუმცა ერთხელაც ვიტყვი, ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა. კარგი იქნებოდა, მატჩი ჩამთავრებულიყო.

**— ქართველების მასპინძლობით კმაყოფილნი ხართ?**

— აღრეც ბევრჯერ მითქვამს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან თბილი, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. მასპინძლებთან საპრეტენზიო არაფერია.

**— თქვენს ავტობუსებს ქვები დაუშინესო, მართალია?**

— სამწუხაროდ, მართალია. ახალგაზრდული ნაკრების ავტობუსის მინები ჩალეწეს.

**— როდის, რა დროს?**

— როცა ეროვნული გუნდების მატჩი შეწყვეტილად გამოცხადდა და ავტობუსი „ლოკომოტივის“ სტადიონიდან გადიოდა.

**— ვინმე ხომ არ დაზარალებულა?**

— საბედნიეროდ, არავინ.

**ქობა ინასარიძე**

# შეინახეთ ბილეთები!

## ფედერაცია გარანტიას გამოდის

...ჩაბნელებული სტადიონი, ჩაშლილი თამაში, ბევრი რამ საეჭვო და უყურადღებობით შეურაცხყოფილი ქომაგი — აი, რა დარჩა 12 ოქტომბრის საქართველო — რუსეთის დაუმთავრებელი მატჩის მერე.

მთავარი კითხვები ფეხბურთის ფედერაციის მისამართით გაისმის და იქაური დიდმოხელენიც პასუხს არავის ამლიან. ჯერჯერობით მათ ნათქვამს დამაჯერებლობა აკლია, რადგანაც თავადაც არ იციან, უეფა რას შემოთვლის. სადღეისოდ ყველაფერი ვარაუდების დონეზეა.

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში „სარბიელის“ მასპინძელი გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია იყო, ვისაც დიდად ეიმედება, რომ რუსებთან მატჩი ისევ თბილისში ჩატარდება.

— ხელმეორედ რუსებს, ალბათ, თბილისში ვუმასპინძლებთ. ფედერაციას ჯერ არ აქვს „ლოკომოტივზე“ შუქის ჩაქრობის ნამდვილი მიზეზების დამადასტურებელი საბუთები. აქტი სტადიონის დირექციამ უნდა მოგვაწოდოს, ჩვენ კი უეფას საშეჯიბრო კომიტეტის თავკაც რენე ებერლეს და უეფას დელეგატს რუდოლფ ბატას ვაცნობებთ.

ხვალ რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი ვოლგოგრადში იქნება. მასთან და ნაკრების თავკაც ვალერი გაზაევთან სატელეფონო მოლაპარაკებები გვექნება და რუსებთან თამაშზეც შევთანხმდებით.

უეფა მატჩს ნოემბერში, მომავალი წლის თებერვალში, ანაც აპრილში დანიშნავს. ყოველ შემთხვევაში, რუსებთან დაპირისპირება რუსეთ — საქართველოს თამაშამდე აუცილებლად ჩატარდება.

**— რამდენად რეალურია საქართველო — რუსეთი ნეიტრალურ მოედანზე გადათამაშდეს?**

— ვითარებას ის ართულებს, რომ სტუმართა ავტობუსს სტადიონიდან გამოსასვლელში კვერცხები და ქვები ესროლეს. მართალია, არც ერთი რუსი ფეხბურთელი არ დაშავებულა, მაგრამ ფაქტი დაფიქსირებულია. თუმცა მაყურებლის მძაფრი რეაქცია არა მარტო მათ ტრანსპორტს, არამედ ფედერაციის მიკროავტობუსს და ჩვენი თანამშრომლის ავტომანქანასაც დაეტყო.

სხვა მხრივ პრობლემები არ ყოფილა, მატჩის ინსპექტორს, შუქის ჩაქრობას და ზემოთ ნახსენებ ინციდენტს თუ არ ჩავთვლით, აეროპორტიდან აეროპორტამდე შენიშვნები არ ჰქონია.

**— რუსების კიდევ ერთი სტუმრობა, ანაც მათთვის ნეიტრალურზე მასპინძლობა დამატებით ხარჯებს მოითხოვს. დანახარჯი ვინ უნდა აანაზღაუროს?**

— ამ საკითხზე უეფას წინაშე ანგარიშვალდებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იქნება, მაგრამ ჩვენ ჩაშლილი მატჩის სანაცვლო საზღაურს მთავარ დამნაშავეს მოვთხოვთ. მისი ვინაობა მალე გაირკვევა, ამას გამოძიება დაადგენს.



ვალერი ჩოლარია

**— თქვენი აზრით, რა იყო შუქის გამორთვის მთავარი მიზეზი?**

— ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ფედერაციას არ სურს, წინასწარ განზრახულ საბოტაჟზე და მსგავს რაღაცეებზე იფიქროს, მაგრამ ბევრი რამ საეჭვოდ ემთხვევა ერთმანეთს. ჯერ იყო და, ოფისს ტყვიები ესროლეს, მერე იყო ანონიმური სატელეფონო ზარები, მუქარა, ახალ ოფისს დავლეწავთო, არც თამაშის დროს მოწყობილ პროვოკაციაზე წყდებოდა საუბრები. რითი დასრულდა ყველაფერი, ხომ ვიცით, მაგრამ ვიდრე საბოლოო განცხადებას გავაკეთებდეთ, გამოძიების ვერდიქტს უნდა დაველოდოთ.

**— თამაში ჩაიშალა და არავინ იცის, როდის და სად ჩატარდება. 12 ოქტომბერს „ლოკომოტივზე“ მისულ ქომაგს, ვინც მატჩის სანახავად შეიძლება ბოლო თეთრიც კი გაიღო, ბილეთის საფასურს ვინ აუნაზღაურებს?**

— ყველას გასაგონად ვამბობთ, გულშემატკივარმა ბილეთი საქართველო — რუსეთის მომავალ მატჩამდე შეინახოს. მერე ფედერაციაში წარადგინოს და მატჩის წინა დღეებში იმავე სექტორებში, იგივე რიგზე და ადგილზე მიიღებენ ბილეთებს, საიდანაც 12 ოქტომბერს პირველ ტაიმს უცქირეს.

თუ თამაში ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდა, მაშინ ბილეთები ფედერაციაში წარმოადგინონ და საფასური ანაზღაურდება.

**მამუკა ძვანტალიანი**

# რუსმა ქართველის თანხმობით ჩეხი დაიყოლია

**ძნელად** თუ იწინასწარმეტყველებდა ვინმე, საქართველო — რუსეთის საფეხბურთო დაპირისპირებას ასეთი ბოლო ექნებოდა, „ლოკომოტივზე“ შუქი ჩაქრა, მატჩი ჩაიშალა. საქართველოს უშიშროების სამინისტრომ მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა საბოტაჟის კვალიფიკაციით. საბოტაჟი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ აქციას ნიშნავს. საბოტაჟი იყო, შემთხვევითობა, თუ მავანთა დაუდევრობა, ამას გამოძიება დაადგენს, მთავარი კი ის არის, რომ მატჩი ისეთი მიზეზით ჩაიშალა, რომ საქართველოს საერთაშორისო იმიჯს ჩრდილი მიადგა.

„ლოკომოტივზე“ პირველად მატჩის 39-ე წუთზე ჩაბნელდა. ჩემს წინ მჯდომმა რუსმა ჟურნალისტებმა ამის გამო ხმამაღლა გადაიხარხარეს, რუსებმა დაგვცინეს, დღეს კი უკვე იმუქრებიან. რუსთა ნაკრების მენეჯერ ალექსანდრ ჩერნოვის თქმით, საპროტესტო წერილი მზადაა და მალე მას უეფას სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს.

რა უნდათ რუსებს? ცხადია, მატჩის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარება. ეს მაქსიმუმია, რასაც შესაძლოა რუსები უეფას გამორჩნენ და ყველა ღონესაც ხმარობენ ამის მისაღწევად.

აი, რას ამბობს *ალექსანდრ ჩერნოვი:* „ქართველების უღირს საქციელს რეაგირების გარეშე არ დავტოვებთ. გულშემატკივრები რუსეთის ჰიმნს სტვენით შეხვდნენ, ეს ჩვენი შეურაცხყოფა იყო. ნაკრების ავტობუსს ქვები დააყარეს, ფეხბურთელები საფრთხეში იყვნენ. იმედი მაქვს, უეფაში ყველაფერს სწორად შეაფასებენ და მატჩი ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდება“...

სტოპ ჩერნოვ! განა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, მუნდიალზე იაპონიასთან მარცხის შემდეგ წვრილთვალა აზიელებს რბევა რომ მოუწყვეთ მოსკოვში?

„ლოკომოტივზე“ რუსთა ნაკრების ავტობუსი სტადიონიდან გამავალ ხალხის ნაკადს შეხვდა და ათი წუთი მოანდომა 100-მეტრიანი მონაკვეთის გავლას. ერთი-ორმა ქვა მართლაც ისროლა, თუმცა ისე არა, ავტობუსს, მით უფრო, ფეხბურთელებს რამე დაშავებოდა.

რუსებს დავუბრუნდეთ. გაზაევის ჩათვლით მთელი ნაკრები ერთსულოვანია ყველა მატჩის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარებას ითხოვს.

*ალექსეი სმერტინი:* „ცოტათი შემეშინდა, მაშინვე ბრაზილია — რუსეთის ამხანაგური მატჩი გამახსენდა. მაშინაც გამოირთო შუქი, მაგრამ 15 წუთში ყველაფერი მოგვარდა... ქართველებთან ოფიციალური მატჩი გვქონდა, ამიტომ ვფიქრობ, მის ჩაშლაზე უეფა სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებს და შეხვედრაც ნეიტრალურ მოედანზე გადათამაშდება“.

*იგორ იანოვსკი:* „შუქი რომ ჩაქრა, მყისვე გავიფიქრე, რომ მატჩი გადაიდებოდა. შოკში არ ჩავვარდნილვარ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. ოპტიმალური გარანტია, 90 წუთი ვითამაშოთ ნეიტრალურ მოედანზე“...

*ვლადიმერ ბესჩასტნიხი:* „მადლობა ღმერთს, რომ იმ წუთისთვის ქართველებს შემთხვევითი გოლი არ ჰქონდათ გატანილი, თორემ ვნახავდით, როგორ არ მოვიდოდა შუქი. თამაშს ჩაგვამთავრებინებდნენ. ახლა კი ყველა საფუძველი არსებობს საიმისოდ, რომ მატჩი ნეიტრალურ მოედანზე გადათამაშდეს“.

*ვალერი გაზაევი:* „ვინ იცის, მატჩი როდის გადათამაშდება. ვფიქრობ, წლეულს ეს შეუძლებელი იქნება. ჩემი აზრით, ქართველებთან ნეიტრალურ მოედანზე უნდა ვითამაშოთ. იმედი მაქვს, უეფას სადისციპლინო კომიტეტი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს“.

ამას ამბობენ მწვრთნელ-ფეხბურთელები, რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავმჯდომარე *ვიაჩესლავ კოლოსკოვს* კი განსხვავებული აზრი აქვს: „მე მოვახერხე დამერწმუნებინა მატჩის ჩეხი კომისარი რუდოლფ ბატა, რომ შეხვედრის გადათამაშება მძიმე დღეში ჩაგდებდა საალბანეთოდ რუსეთს. ჩვენი ნაკრები ოთხშაბათამდე ვერ აღიდგენდა ძალას. გადათამაშება აუცილებლად საქართველოში ჩატარდება, თუმცა ზუსტ თარიღს ვერ დავასახელებ. სამშაბათს ვოლგოგრადში ჩავალ, გაზაევს შევხვდები და ერთად შევარჩევთ ჩვენთვის სასურველ ვარიანტს“.

აი, ასე ჭიკჭიკებს კოლოსკოვი და ერთი შეხედვით უცნაურიცაა რუსი საფეხბურთო ჩინოსანი და ფიფა-უეფაში გავლენიანი კაცი რომ მატჩის საქართველოში გადათამაშების მომხრეა. მაგრამ თუ მომხდარს გავაანალიზებთ, კოლოსკოვის დიპლომატია ადვილი ასახსნელი იქნება. „მე მოვახერხე, დამერწმუნებინა მატჩის კომისარი რუდოლფ ბატა...“ სწორედ კოლოსკოვის ამ სიტყვებშია დამარხული ძაღლის თავი. რატომ ითხოვდა ბატა მატჩის კვირას ჩატარებას? იმიტომ, რომ ამას ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის რეგლამენტი ავალდებულებდა. დებულების ერთ-ერთი მუხლით, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ირკვევა, რომ რუსეთს უფრო მიქარული აქვს.

„თუკი მატჩი შეწყდა სათამაშო დროის ამოწურვამდე, ანაც დამატებით დროში, უამინდობის და სხვადასხვა მიზეზის გამო, გადათამაშება უნდა დაინიშნოს მომდევნო დღეს, რათა ჩამთავრდეს შესარჩევი ციკლის კონკრეტული ეტაპი და თავიდან იქნეს აცილებული დამატებითი ხარჯები. თუკი რაღაც მიზეზით მატჩის ჩატარება მომდევნო დღესაც შეუძლებელია, ორ ფედერაციას აქვს უფლება, მოილაპარაკოს და მატჩი დაგეგმილის ნაცვლად ორი დღით გვიან გაიმართოს. თუ გადათამაშება ამ ვადაშიც არ მოხერხდა, მაშინ მგზავრობის, კვების და სხვა ხარჯი ორივე ფედერაციაზე თანაბრად განაწილდება“.

პარაგრაფი 10

პუნქტი 10.04

ამიტომაც იყო, მატჩის კომისარი საკვირველ რომ ითხოვდა გადათამაშებას, და რომ არა კოლოსკოვის ფაქტორი, საქართველო — რუსეთი კვირასვე გაიმართებოდა.

**ბაჩანა ძვანტალიანი**



ვალერი გაზაევი

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 12 ოქტომბერი

## მურატი 1:1 მურატი

### X ჯგუფი

**ალბანეთი 1:1 შვეიცარია**

0:1 მ. იაკინი (37), 1:1 მურატი (79)
ალბანეთი: სტრაკოშა, ლალა, ჩიპი, ჯუპშა, ფუკაი (სინა 83), ჰასი, მარუში, ბაჯი (ბუში 60), დურო, ფ. ვატა, ტარე (მურტაი 71)
მწვრთნელი: ჯუზეპე დოსენა
შვეიცარია: შტილი, ჰაასი, მანინი, მიულერი, მ. იაკინი, ფოგელი, კაბანასი (კანტალუპი 80), ფრეი (ტურე 84), ჰ. იაკინი (სელესტინი 84), შაპუიზა
მწვრთნელი: იაკობ კუნი
მსაჯი: ორჰან ერდემირი (თურქეთი)
15 000 მაყურებელი

**რაპიდა** თბილისში საქართველო — რუსეთის მატჩის დასრულება არ ეწერა, ევრო 2004-ის მეათე შესარჩევ ჯგუფში ჩივაძის გუნდის შემარცხვენელი შვეიცარია გალიდერდა. მარადი ნეიტრალიტეტის ქვეყნის შვილთა პირველობას ალბათ დიდი სიცოცხლისუნარიანობა არა აქვს, თუმცა ისიც სათქმელია, რომ იაკობ კუნის გუნდმა ტირანაში ოფლის ღვრით შეკოწიწებული სამი ქულიდან ორი ალბანელი ედვინ მურატის დარტყმულს ბოლოსლა გაატანა.

მატჩი მოსაწყენი გამოდგა. დაცვაში გამაგრებული მასპინძლების დარად შეტევისთვის მაინცდამაინც არც შვეიცარიელებს გამოუღიათ თავი. ჯუზეპე დოსენას „ალბანური კატენაჩო" სტუმართათვის გვარიანი თავსატეხი გამოდგა.

იაკობ კუნის ბიჭებმა პირველ ტაიმში მაინც იხეირეს. ალექს ფრეის ჩაწოდებულს მურატ იაკინის საგოლე თავური მოჰყვა.

ამის შემდეგ შვეიცარიელებს თითქოს პრობლემა არ უნდა შექმნოდათ, თუმცა მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე სტუმრები საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს დაჯარიმდნენ და ედვინ მურატიმაც შანსი გამოიყენა. მისი გასროლილი მეკარისთვის აუღებელი გამოდგა.

ალბანელები ამ შედეგით კმაყოფილებას ვერ მალავდნენ.

— მართალია, საშინაო მატჩში ფრე დიდი ვერაფერი მიღწევაა, თუმცა ჩვენ ხომ საერთოდ მარცხის წინ ვიდექით. საბედნიეროდ, მატჩის გადარჩენა შევძელით — განაცხადა ნამატჩევს ალბანეთის ნაკრების თავდამსხმელმა ფატმირ ვატამ.

დასასრულს ისიც ვთქვათ, რომ შეხვედრას ირლანდიის ნაკრების თავკაცი მიკ მაკარტი დაესწრო. სწორედ ირლანდიასთან მოუწევთ ხვალ საკუთარი ამბიციების დამტკიცება შვეიცარიელებს, ალბანელები კი ხვალვე ვოლგოგრადში ესტუმრებიან რუსებს.

**ქახა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ალბანეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

## ჩელსი ფრანგულად
## ასი და პირველი

### I ჯგუფი

**საფრანგეთი 5:0 სლოვენია**

1:0 ვიეირა (10), 2:0, 3:0 მარლე (35, 65), 4:0 ვილტორდი (79), 5:0 გოვუ (87)
საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი (სანიოლი 83), დესაი, გალასი, სილვესტრი, ვიეირა, მაკელელე, ვილტორდი (ბრუნო შეირუ 86), ზიდანი, მარლე (გოვუ 80), ანრი
სლოვენია: სიმეუნოვიჩი, კარიჩი (ფილეკოვიჩი 88), ჟურდალიჩი, ციმროტი, შუკალო, რადოსავლევიჩი (ზლოგარი 68), შილიაკი, ზაჰოვიჩი, პავლინი, ჩიზერი, ციმეროტიჩი (ნ. ჩეჰი 46)
გაძევება: ჩიზერი (90)
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

**ფრანგებმა** შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩი ნიქოზიაში კი მოიგეს, მაგრამ კვიპროსზე გამარჯვება შთამბეჭდავი სულაც არ ყოფილა — ჟაკ სანტინის გაწვრთნილმა გუნდმა მაშინ ძლივს მოიგო.

ჰოდა, ახლა სლოვენიელთა ასეთნაირად გასრესვის შემდეგ ფრანგები ეიფორიაში არიან — ეროვნულ გუნდს მალე ძველი დიდება დაუბრუნდებაო.

მუნდიალზე ჩაფლავების შემდეგ ფრანგებმა სტუმრად ფრედ ითამაშეს ტუნისთან და ის მატჩი სადებიუტო გახლდათ ჟაკ სანტინისთვის. „ტუნისში ჩვენი ისტორიის ახალი თავი გადავფურცლეთ. ახალი გუნდის შექმნას დრო სჭირდება. კვლავ საწყის სტადიაში ვართ, მაგრამ რაღაც-რაღაცეები უკვე გავაუმჯობესეთ — თქვა ნამატჩევს სანტინიმ და მერე ესეც დაამატა — კვიპროსთან მატჩის შემდეგ კარგად გავაცნობიერეთ, რომ მეტი ბრძოლაა საჭირო, რათა ფსიქოლოგიურად თავი უფრო ძლიერად ვიგრძნოთ."

ფრანგებს მომდევნო მატჩი ხვალ ელით ვალეტაში მალტის წინააღმდეგ და სანტინიმ ამაზეც თქვა: „ყოველთვის ვამბობდი, ეს წელიწადი ცხრა ქულით უნდა ჩავამთავროთ-მეთქი. დღევანდელი წარმატების მიუხედავად, ენერგიულად უნდა შევუდგეთ მალტელებთან თამაშისთვის მზადებას და დავამტკიცოთ, რომ დღეს კარგად შემთხვევით არ გვითამაშია."

სანტინიმ უშუალოდ შაბათის მატჩზე ის განაცხადა, რომ პირველ ტაიმში დაახლოებით ათი წუთი მოშვებულები ვიყავით და შეცდომებსაც ვუშვებდიო, რაც მხოლოდ ყოველდღიური შრომით თუ გამოსწორდებაო. ფრანგთა მწვრთნელმა იმაზეც მიანიშნა, რომ ფეხბურთელები ერთმანეთს ჯერაც არ იცნობენ კარგად და შეთამაშებაც აკლიათო.

ახალწვეულთაგან კი ყველაზე უფრო „ჩელსის" მცველი უილიამ გალასი გამოირჩა — მას ჩინებული დებიუტი ჰქონდა და უშეცდომოდაც ითამაშა, ხოლო მისმა ჩელსელმა თანაგუნდელმა მარსელ დესაიმ მე-100 „კეპი" მოიხვეჭა — ეროვნულ გუნდში ჩატარებული მატჩების რაოდენობა სამნიშნა რიცხვამდე აიყვანა.

**დავით თავართქილაძე**




საფრანგეთი — სლოვენია. პატრიკ ვიეირამ მირან პავლინი წამოაქცია

**მალტა 0:2 ისრაელი**

0:1 ბალილი (56), 0:2 რევივო (75)
მალტა: მუსკატი, საიდი, ჩეტკუტი, კარაბოტი, დოფენი, დებონო, აგიუსი (მალია 72), ტურნერი, მ. მიფსუდი, ბრინკატი (ა. მიფსუდი 46), ნვოკო (ბოგდანოვიჩი 82)
ისრაელი: ავატი, ზანი, ბადირი, ბენადო, დომბი, კეისი, ბანინი, რევივო, ფელდი, ბალილი (ბენაიუნი 70), ბერკოვიჩი (ნიმნი 70), ტალი (აფტები 46)
მსაჯი: სერგეი შებეკი (უკრაინა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| ისრაელი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სლოვენია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

## ჯიკა ჯორჯიან?
## პოპესკუ ძველქართულად აჭიკჭიკდა

### II ჯგუფი

**დანია 2:0 ლუქსემბურგი**

1:0 ტომასონი (51პ), 2:0 სანდი (71)
დანია: სკოვიესმანი, ბოგელუნდი, ჰენრიქსენი, პოულსენი, ნ. იენსენი, კ. იენსენი (ლოვენკრანდსი 46), გრავესენი, რომედალი (გრონქიაერი 67), ტომასონი, იორგენსენი (როული 75), სანდი
ლუქსემბურგი: ბესიჩი, ფერონი, დევილი, ჰოფმანი, შტრასერი, რემი, რეიტერი, პოლეტი, ლეველი, კარდონი, ბრაუნი (მუსი 79)
მსაჯი: ფერენც ბედე (უნგრეთი)

**რუმინეთი 0:1 ნორვეგია**

0:1 ივერსენი (84)
რუმინეთი: ვინტილია, კონტრა, რადოი, რატი, კოჟუ, პოპესკუ, კოდრეა, დ. მუნტიანუ (მანჩუ 85), განეა, მუტუ (ა. ილიე 64), მოლდოვანი (ნიკულაე 64)
ნორვეგია: მირე, ბერგდოლმო, ლუნდეკვამი, ბერგი, ბასმა, ივერსენი, კარეუ (ლეონჰარდსენი 80), ანდერსენი, ბაკე, სოლსკიაერი (რუზვენტი 89), რიისე
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

**თოვდა**, წვიმდა, მეტოქეს ზურგქარი ეხმარებოდა, მსაჯმა დაგვწვა, პირველი გოლის ფაქტორი, აკლიმატიზაცია გაგვიჭირდა და ასე შემდეგ-

ქართული გუნდებისგან ამგვარი თავის მართლება ვინ მოთვლის, რამდენჯერ მოგვისმენია და კიდევ კარგი, მხოლოდ ქართველთა ზნე არ არის.

ბუქარესტში შაბათს ქარი შმაგობდა, მანამდე კი წვიმა არ ისვენებდა და თამაშიც კაცანმა ჩრდილოელებმა მოიგეს.

მეტაფორის სისწორეზე თავს ვერ დავდებ — ეგებ კაცის ქვა სულაც არ ყრია სკანდინავიაზე, მაგრამ ნორვეგიელებს ცოვად, მაგრად ღგომა და ნაპერწკლების ყრა რომ შეუძლიათ, ეგ ნაღდია.

მე-5 წუთზე „პარმის" რუმინელ შეტევ ადრიან მუტუს დიდებული შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერ ივარგა და ამის შემდეგ თამაში წახდა — სველი მინდორი ისე ატალახდა, ჭაობს დაემსგავსა.

მატჩის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე კი ტოტენჰემელმა სტეფან ივერსენმა კუთხურის ჩაწოდებისას იყოჩაღა და ნორვეგიელებმა პირველი გამარჯვება მიითვალეს.

„ჩვენ უფრო მეტს მივაღწიეთ, ვიდრე ველოდით. აქ ერთი ქულისთვის ჩამოვედით, მაგრამ მაქსიმუმი ავიღეთ" — გულწრფელი იყო ნამატჩევს ნილს იოჰან სემბი.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, „ნანტის" თავდამსხმელმა ვიორელ მოლდოვანმა ლონივრად რომ დაჰკრა ბურთს, მაგრამ ტომას მირემ თავისიანები იხსნა.

გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა ოლე გუნარ სოლსკიაერსაც ჰქონდა და კვლავ მეკარე გამოირჩა — ბოგდან ვინტილიამ ბურთი მარცხენა ფეხით მოიგერია.

გენერალი ანგელ იორდანესკუ ვაბანკზეც კი წავიდა — საშინელ მინდორზე სამი ფორვარდით შეუტია, მაგრამ ვერც დანიელ პანჩუმ და ვერც ადრიან ილიემ იჩაუქეს.

„ჩვენ ორი ძლიერი მეტოქის — ნორვეგიისა და სველი მინდვრის — წინააღმდეგ ვთამაშობდით. ნორვეგიელებმა უკეთ იციან, თუ როგორ უნდა ითამაშო ასეთ რთულ პირობებში" — ასე იმართლა თავი რუმინელთა კაპიტანმა ჯიკა პოპესკუმ.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ნორვეგია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ბოსნია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### III ჯგუფი

**ბელარუსი 0:2 ავსტრია**

0:1 შოპი (67), 0:2 აკაგუნდუზი (90)
ბელარუსი: ტუმილოვიჩი, კულჩი, ოსტროვსკი, ლუხვიჩი, შტანიუკი, გურინკო, ხაცკევიჩი, ოსიპოვიჩი (ომელიანჩუკი 51), შუნეიკო (ვასილიუკი 64), ბელკი, კუტუზოვი (რომაშჩენკო 83)
ავსტრია: მანინგერი, დოსპელი, ბაური, ჰიდენი, კოვაჩევიჩი (ოუგბამუზორი 90), შოპი, ჩერნი, ფლოგელი, ვალჩერი (აკაგუნდუზი 75), ვაგნერი, კარამანი (მერილოგი 82)
გაძევება: ლუხვიჩი (84)
მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)

**მოლდოვა 0:2 ჩეხეთი**

0:1 იანკულოვსკი (71პ), 0:2 როსიცკი (80)
მოლდოვა: ხმარუკი, კოვალენკო, რებეჯა, პრისკა, სოსნოვსკი, ოლექსიჩი, კატინსუსი, ჩებოტარი, კოვალჩუკი (ბუდანოვი 70), ბორეცი (ივანოვი 65), კლეშჩენკო (დემბელი 46)
ჩეხეთი: ჩეხი, გრიგერა, იანკულოვსკი, ბოლტი, იუჰბეკი(?), გალაშეკი (იაროშიკი 55), ვახოუშეკი (დომბალეკი 88), პობორსკი, კოლერი, როსიცკი (ლოკვენცი 84), სტაინერი
გაძევება: სოსნოვსკი (68)
მსაჯი: ლესლი ირვინი (ჩრდ. ირლანდია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ჩეხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| ბელარუსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

## შვედმა რა იცოდა, უნგრეთს იუბილე ჰქონია




პოლონეთი — ლატვია. მასპინძელმა ჟურავსკიმ (№9) ალექსანდრ კოლინკოს კართან ბრწყინვალე მომენტი გააფუჭა

### IV ჯგუფი

**შვედეთი 1:1 უნგრეთი**

0:1 კენეში (9), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (76)
შვედეთი: ისაკსონი, მელბერგი, იაკობსონი, მიხაელ სვენსონი, ანტონელიუსი (იონსონი 67), ლინდეროტი, ალექსანდერსონი (კალსტრომი 59), ანდერს სვენსონი, ლიუნგბერგი, ანდრეას სვენსონი, იბრაჰიმოვიჩი (ოლბოკი 78)
უნგრეთი: კირალი, ჩ. ფეჰერი, დრაგონერი, ლოვი, დიებენი, ჟურბანი, ტოკოლი (მ. ფეჰერი 59), დარდაი, კენეში (გერა 70), ლისტეში, ლოში
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**შვედეთმა** კვლავ ვერ მოიგო. სკანდინავებმა მორიგი წარუმატებელი მატჩი „რასუნდაზე" შეკრებილი საკუთარი 35 000 მაყურებლის თვალწინ ითამაშეს.

უნგრელებმა თავიანთი საიუბილეო მატჩი თამამად დაიწყეს (პირველი ოფიციალური შეხვედრა უნგრეთის ნაკრებმა 1902 წლის შემოდგომაზე ჩაატარა) და მე-9 წუთზე კენეშიმ ბრედლი ფეჰერის პასი შეირგო. ორ წუთში შვედთა საბოლოო დასამარება ატილა ტოკოლის პასით ლისტეშს შეეძლო, თუმცა შვედთა ნაკრებში მეორედ მოთამაშე მეკარე ისაკსონმა იყოჩაღა.

მასპინძლებმა თამაში ტაიმის ბოლოსკენ გამოასწორეს და პირველი ხიფათიც შექმნეს — მიხაელ სვენსონის თავური ხარიხას მოხვდა.

მეორე ტაიმი სკანდინაველებმა მაღალ ტემპში დაიწყეს და უნგრელებიც ძირითადად საკუთარ ნახევარზე იყვნენ გამაგრებულები. 76-ეზე კი გოლიც გავიდა. აიაქსელმა იბრაჰიმოვიჩმა თავით გადაუგდო ბურთი კარიდან გამოვარდნილ კირალის და თავისიანებს გამარჯვების იმედი გაუღვივა.

საბოლოოდ ყველაფერი უნგრელთათვის სასიკეთოდ დასრულდა. დარჩენილ დროში მათ კარს მიძალებული შვედები ხეირიანს ვერაფერს ქმნიდნენ და სტუმრებმაც შინ უმნიშვნელოვანესი ქულა წაიღეს.

**პოლონეთი 0:1 ლატვია**

0:1 ლაიზანსი (30)
პოლონეთი: დუდეკი, ჰაიტო, ზიელინსკი, რატაიჩიკი, მიხალ ჟევლაკოვი (სურმა 46), დოდოლსკი, კუკიელა, ლევანდოვსკი, კ. კოსოვსკი (მასიელი 83), ფიშნიარეკი (მარჩინ ჟევლაკოვი 46), ჟურავსკი
ლატვია: კოლინკო, ბლაგონადეჟდინი, სტეპანოვსი, ზემლინსკისი, ლაიზანსი, ისაკოვსი, ასტაფიევსი, რუბინსი, ბლეიდელისი, ვერპაკოვსკისი (შტოლცერსი 88), პახარსი (პროხოროვსი 58)
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| შვედეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| უნგრეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სან მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 12 ოქტომბერი

# ორმაგი ნაღების განსაკუთრებული გემო



REUTERS

შოტლანდიელთა თავკაც ბერტი ფოგტსს გარი ნეისმიტის მიწვევამ გაუმართლა

**V ჯგუფი**

**ისლანდია 0:2 შოტლანდია**

0:1 დეილი (7), 0:2 ნეისმიტი (63)

ისლანდია: არასონი, ტორსტეინსონი, ვიდარსონი (ბალდვინსონი 66), გუნარსონი, ლ. სიგურდსონი, რ. კრისტინსონი, ჰრეიდარსონი, ინგიმარსონი, გუდიონსენი, ჰ. სიგურდსონი (მელგასონი 46), გუდნასონი (გუდიონსონი 75)

შოტლანდია: დუგლასი, როსი, უილკი, პრესლი, დეილი, ფერგიუსონი, მაკნამარა (დევიდსონი 35), კროუფორდი, ტომპსონი (სევერინი 90), ლამბერტი, ნეისმიტი (ანდერსონი 90)

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

**როგორც იქნა**, ბერტი ფოგტსის შოტლანდიამ მოიგო — გერმანელი მწვრთნელის ხელში სქოთებმა პირველი გამარჯვება იზეიმეს ოფიციალურ შეხვედრებში.

მაგრამ ეს ამბავი ბრიტანულ პრესას სულაც არ აღელვებს — მატჩის გმირად გარი ნაისმიტი მონათლა.

ეს ფეხბურთელი მარცხენა ნახევარმცველია და მარჯვენა ფეხს მხოლოდ სარბენ-სასიარულოდ იყენებდა, თორემ ბურთისთვის ის შემთხვევით თუ მოურტყამს, მაგრამ განგებამ ინება და თავისი პირველი გოლი ეროვნულ გუნდში სწორედ მარჯვენათი შეაგდო.

— ჩემს პროფესიულ კარიერაში ეს პირველი გოლია, მარჯვენა ფეხით რომ გავიტანე. არადა, ფეხი ჯერ ბურთის მოსათვინიერებლად შევმართე, მაგრამ მერე გავიფიქრე, მეკარეს ამით გამოვიჭერ-მეთქი და... თანაც 18 თვეა, გოლი არ გამეტანა."

ცნობისთვის, ნაისმიტი ინგლისური „ევერტონის" ფეხბურთელია, თუმცა ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და მან ისიც თქვა, ამის გამო ნაკრებში გამოძახებასა და თამაშს არც ველოდიო.

თუმცა ბერტი ფოგტსის ნალებ საზოგადოებაში მაინც მოხვდა და ორმაგადაც გაიხარა.

**დავით თავართქილაძე**

**ლიტვა 2:0 ფარერები**

1:0 რაგანაუსკასი (23), 2:0 პოშკუსი (37)

ლიტვა: სტაუჩე, შკერლა, ჟიაუკშტასი, ბარაშცასი, შკარბალიუსი, ჩესნაუსკასი (სლავიცკასი 77; სტანკევიჩიუსი 84), დუბიუსკასი (ბარასა 75), მიკალაიუნასი, ფომენკა, რაგანაუსკასი, პოშკუსი

ფარერები: მიკელსენი, იოჰანესენი, ო. ჰანსენი, ტორსტეინსონი (ა. იოენსენი 75), ი. იაკობსენი, ა. ჰანსენი, ბენიამინსენი, იონსონი (რ. იაკობსენი 70), ბორგი, პეტერსენი, კ. იაკობსენი (ფლოტუმი 62)

მსაჯი: დეიან დელევიჩი (იუგოსლავია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 3 |
| ლიტვა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ფარერები | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ისლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

# სჭირდებათ

## ესპანეთს სრულყოფა, უკრაინას ამბიცია

**VI ჯგუფი**

**ესპანეთი 3:0 ჩრდ. ირლანდია**

1:0 ბარახა (19), 2:0 გუტი (59), 3:0 ბარახა (89)

ესპანეთი: კასილიასი, სალგადო, ბრავო, გუტი (კაპი 83), პუიოლი, ელგერა, რაული (მორიენტესი 64), ბარახა, ხოაკინი (მენდიეტა 76), ხავი, ვისენტე

ჩრდ. ირლანდია: მ. ტეილორი, ა. ჰიუზი, მაკკარტნი, ტაგარტი (გრანტ მაკკანი 71), მურდოკი, ლომასი, გილესპი, მალრინი, დ. ჯონსონი, მაკვეიგი (მ. ჰიუზი 67), ჰილი (მეილი 67)

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

**რუბენ ბარახამ** პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში გამრუდებული მიზანი (ორი პენალტი გააფუჭა) ჩრდილო ირლანდიასთან მატჩში გაისწორა.

ესპანეთის ნაკრები მეტოქეს თავიდანვე ებღლვნა და უკვე მეორე წუთზე ხოაკინს მაიკ ტეილორის დამწუხრება შეეძლო. ბეტისელმა გუტის პასს ვერ მიუსწრო.

მასპინძლებს გოლი მალევე შეეწია. ბარსელონელმა ხავიმ ბარახა მოძებნა და მანაც თავურით, ბრიტანელთა მეკარეს ანგარიშის გახსნა აუწყა.

ტაიმის ბოლომდე მინიმალური სხვაობა რამდენჯერმე უნდა გაზრდილიყო, მაგრამ ბედმა ირლანდიელები დაინდო.

სამაგიეროდ, მეორე ნახევარში სტუმრები მაინც დაეცნენ. ისევ ჩავის პასით ამჯერად გუტიმ იხეირა და ნაკრებში დაბრუნება გოლით გაალამაზა.

შეხვედრის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე რუბენ ბარახამ მეორე მიითვალა და ესპანეთი 3:0-ს დასჯერდა.

ინაკი საესი, ესპანელთა მწვრთნელი: „ორ მატჩში დაგროვებული 6 ქულით ძალიან კმაყოფილი ვარ. ეს უკვე ერთგვარ დაძაბულობას გვიხსნის და მომავალ თამაშებს განტვირთულნი, უფრო თავისუფლად შევხვდებით. ცხადია, გაცილებით ბევრი გოლი უნდა გაგვეტანა, მაგრამ მთავარია, რომ დასახულ მიზანს მივაღწიეთ. ანგარიში სწრაფად გავხსენით და უპირატესობას ვფლობდით. შემდგომში გუნდის სრულყოფისთვის რაღაც-რაღაცეებს შევცვლი და ოპტიმალურ შემადგენლობას მივაგნებ."

**უკრაინა 2:0 საბერძნეთი**

1:0 ვორობეი (51), 2:0 ვორონინი (90)

უკრაინა: რევა, ლუჟნი, სტაროსტიაკი, ტიმოშჩუკი, გუსინი, კორმილცევი (რებროვი 71), სერებრიანიკოვი (ვორონინი 24), ზუბოვი, მოროზი (რადჩენკო 25), კალინიჩენკო, ვორობეი

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, ვენეტიდისი, დაბიზასი, დელასი, ლაკისი (იანაკოპულოსი 66), ზაგორაკისი (ბასინასი 69), კარაგუნისი, ხარისტეასი, ცარტასი, ნიკოლაიდისი (ვრიზასი 66)

მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

**ზოგი ჭირი** მარგებელიაო, ასე დაემართა უკრაინას. სერგეი სერებრიანიკოვმა პირველ ტაიმში ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად მოედანზე მეორე ბუნდესლიგის „მაინცის" ფორვარდი ანდრეი ვორონინი შევიდა. სწორედ იგი გახდა მატჩის კინალამ მთავარი გმირი.

პირველი 20-25 წუთი დიდად საინტერესო არაფერი მომხდარა. ტაიმიც უგოლოდ მიილია.

მეორე ნახევარი მასპინძლებმა „ცეცხლით და მახვილით" დაიწყეს. გოლსაც არ დაუგვიანებია. დენის ზუბოვის მოხდენილი პასი ანდრეი ვორობეიმ ბერძენთა საჯარიმოში მიიღო, კარისკენ შებრუნდა და ნიკოპოლიდისს აუღებელი დაურტყა.

ამის მერე უკრაინის ნაკრები რატომღაც აიჭრა. სტუმრებმა უკრაინელთა საჯარიმო ალყაში მოაქციეს, თუმცა ვიტალი რევას ვაჟკაცობამ მეტოქეს გათანაბრების ყველა შანსი მოუსპო.

დამხვდურები ამ ალყიდან დროდადრო გაღწევას ცდილობდნენ, რაც გამოსდიოდათ კიდეც, მაგრამ ვორობეიმ მეკარესთან რამდენიმე პირისპირ შეჯრა გააცუდა.

ბოლოს ვორობეის შეცდომები ვორონინმა გამოასწორა და ნიკოპოლიდისს მეორე გაუტანა.

გამარჯვებულთა თავკაცმა ლეონიდ ბურიაკმა თქვა: „სასიხარულოა, რომ უამრავი ტრავმირებული ფეხბურთელის არყოფნაში მნიშვნელოვან გამარჯვებას მივაღწიეთ. ჩვენ ვორონინის მსგავსი ამბიციური ფეხბურთელი გვჭირდება."

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| უკრაინა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| სომხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ჩრდ. ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| საბერძნეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |



REUTERS

ესპანეთი — ჩრდ. ირლანდია. რაულმა ვერ გაიტანა, მაგრამ შედეგით კი კმაყოფილი დარჩა



REUTERS

სლოვაკეთი — ინგლისი. სტუმართა კაპიტანმა დევიდ ბექემმა მარტინ პეტრაში გადათელა

# ოუენმა ერიკსონი გასვენებას გადაარჩინა

**VII ჯგუფი**

**სლოვაკეთი 1:2 ინგლისი**

1:0 ნემეტი (24), 1:1 ბექემი (64), 1:2 ოუენი (82)

სლოვაკეთი: კონიგი, ჟერიკი, ლეიტნერი, პეტრაში, პლინკა, იანოჩკო (მინტალი 89), ზემანი, პინტე (კოზლეი 89), კარპანი, ვიტეკი (რეიტერი 81), ნემეტი

ინგლისი: სიმენი, გ. ნევილი, ვუდგეიტი, საუთგეიტი, კოული, ბექემი, ჯერარდი (დაიერი 77), ბათი, სქოულზი, ჰესკი (სმიტი 90), ოუენი (მარგრიჯსი 87)

მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)

**ბრატისლავაში** წვიმდა. წვიმდა უბრალოდ კი არა, ისე, რომ შეიძლებოდა, თამაში არც შემდგარიყო. ბოლო წამს მატჩის გამართვა მაინც გადაწყდა და უკვე გვარიანად ატალახებულ მოედანზე სლოვაკეთი ინგლისს დაუპირისპირდა.

ბურთი უგულოდ დაეხეტებოდა მწვანეზე, რადგან ტალახში ჩაჭყაპუნება არ სიამოვნებდა. მიუხედავად ამისა, ბურთაობა მაინც გაჩაღდა. იმტაზე მოსული მასპინძლები თავიდან უკეთესად გამოიყურებოდნენ და მწვავედაც უტევდნენ. გოლი ტაიმის შუაწელში გავიდა. ატილა პინტეს ჩაწოდების შემდეგ ზილარდ ნემეტმა საჯარიმოში მცველთა პოზიციური შეცდომით ისარგებლა და დევიდ სიმენს ბურთი წვივებს შუა გაუგორა.

გოლმა მასპინძლებს შეტევის სურვილი გაუნელა. ინგლისელებმა ორგანიზებულად შეუტიეს, კარში დარტყმის მცდელობაც ჰქონდათ, თუმცა დამბალი მინდორი ამის საშუალებას ნაკლებად იძლეოდა.

პირველი ტაიმის მიწურულს დევიდ ბექემმა კუთხური ჩააწოდა, რასაც ხიფათი მოჰყვა და სტუმრებმა ზედიზედ ორჯერ ნაღდი საგოლე მომენტი გააცუდეს.

შესვენების მერე ბექემმა თავისი საჯარიმო მაინც შეასრულა, ოუენი ბურთს შეეხო თუ არა, ამაზე მკითხაობას ნუ დავიწყებთ, მაგრამ გოლი მიროსლავ კონიგის კარში გავიდა.

სტუმრებმა მეთოდურად იწყეს მასპინძელთა შევიწროვება, სლოვაკებს დაღლაც დაეტყოთ და შეხვედრის დასრულებამდე რვა წუთით ადრე შეცვლაზე შესული კირონ დაიერის პასით მაიკლ ოუენმა იხეირა.

ეს იყო და, სვენ გორან ერიკსონის გუნდს ანგარიშის შენარჩუნება აღარ გასჭირვებია.

მატჩის წინ იმ სასტუმროს მახლობლად ინგლისელი ფანები რომ დაბინავდნენ, ლუდის ბარში ინციდენტი მოხდა. ბრატისლაველმა პოლიციელებმა ჯერაც გურკვეველ ვითარებაში სროლა ატეხეს, თითქოსდა გასაფრთხილებლად, მაგრამ ორი ინგლისელი ფანი კი დაიჭრა და საავადმყოფოში დააწვინეს. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სვენ გორან ერიკსონმა კი თქვა, შესვენებაზე გასახდელში, გუნდი დავქოქე და ჩემმა ბიჭებმაც ნამდვილი გუნდური სული მეორე ტაიმში გამოავლინესო.

**მაკედონია 1:2 თურქეთი**

1:0 გროზდანოვსკი (2), 1:1 ოკანი (29), 1:2 ნიჰათი (54)

მაკედონია: მილოშევსკი, სედლოსკი, ი. მიტრევსკი, ვასოსკი, სტოიანოვსკი, ტრაიანოვი (ნაჩევსკი 68), სუმოლიკოსკი (რ. პეტროვი 46), ა. მიტრესკი, შაკირი, გ. ხრისტოვი (რ. პოპოვი 46), გროზდანოსკი

თურქეთი: რუშთუ, ბიულენთი, ალფაი, თუგაი (სერჯანი 46), ფათიჰი, ოკანი (უმითი 81), ემრე, ბაშთურქი, ერგიუნი, არიფი (ჰაში 46), ნიჰათი

მსაჯი: ქნუდ-ერიკ ფისკერი (დანია)

